ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ირაკლი კობახიძე: „მოძალადე მელიას მაინც შევიწყალებთ“

გვ.2



ხუთშაბათი, 29 აპრილი, 2021 №74 (8603) ფასი: 60 თეთრი

# „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მოვიდეს“




გვ.4





ლევან ჩაჩუა: „უმძლავრეს და ახალ ძალად შეიძლება იქცეს იმ ადამიანების გაერთიანება, რომლებიც არასდროს ყოფილან პოლიტიკაში“



## „სალომე სამადაშვილი ნაციონალურ მოძრაობას უნდა გაემიჯნოს“



მურმან დუმბაძე: „ქართული ოცნებიდან“ მაქვს ინფორმაცია, რომ 20 ივნისის ღამის ყველა მონაწილის დამრბევის, დამკვეთის, შემსრულებლის შეწყალებას აპირებენ“

გვ.2

## „ეროვნული ბანკი ძალიან არაადეკვატურად იქცევა“



გვ.3

პაატა შეშელიძე: „მთავრობა პანდემიას ბოროტად იყენებს“

## „ოპოზიციის გადარჩენის შანსი მის ერთიანობაშია“

ხათუნა გოგორიშვილი: „სირცხვილი არ არის, მიხვიდე მაკო გომურთან და უთხრა – ბოდიში“



გვ.3




გვ.5

## უპრეცედენტო ტერორისტული აქტი, რომლის მოწყობაში რუსეთის სპეცსამსახურებს ადანაშაულებენ



გვ.4

## პეტრე მამრაძე: „ოცნებამ“ უხეში და მიუტევებელი შეცდომები დაუშვა“

ISSN 1987-9385

5 „ქმარი შვილების თვალწინ მოკლა და გადააგდო“ კასპში მოკლული ნოდარ ღუნაშვილის ცოლი დააკავეს

2 არჩილ თალაკვაძე: „მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ ძალიან ცუდად წააგო“

5 შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.177 ფაქტი გამოავლინა

6 ზელენსკი მზადაა, პუტინს ვატიკანში შეხვდეს
აშშ-მ უკრაინას სამხედრო დახმარება გადასცა

# „სალომე სამადაშვილი ნაციონალურ მოძრაობას უნდა გაემიჯნოს“

## მურმან დუმბაძე: „ქართული ოცნებიდან“ მაქვს ინფორმაცია, რომ 20 ივნისის ღამის ყველა მონაწილის დამრბევის, დამკვეთის, შემსრულებლის შეწყალებას აპირებენ“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***— ბატონო მურმან, ამნისტიის კანონპროექტთან დაკავშირებით ზურა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ „ოცნებას“ უნდა, ყველას ყველაფერი ჩამორეცხოს. ის კითხულობს, გვილირს კი მეორე კანონპროექტის დარეგისტრირება? როგორი უნდა იყოს პარლამენტში შესული ოპოზიციის შემდეგი ნაბიჯი?***

— ნიკა მელიას ციხიდან გამოსვლამდე პარლამენტში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. მისი გათავისუფლების შემდეგ შეიძლებოდა შესვლაზე ფიქრი. თუმცა ჯერ კიდევ არ არის გვიან. „ქართული ოცნება“ ამნისტიის კანონს ყველა შემთხვევაში მიიღებს, რადგან ეს მას უნდა. „ქართულ ოცნებას“ 90 დეპუტატი ჰყავს და ამ კანონპროექტს მიიღებენ ოპოზიციის გარეშეც.

თუმცა ზურა ჯაფარიძეს ვეთანხმები, რომ საერთო ოპოზიციური გადაწყვეტილებით უნდა გაგრძელდეს შემდეგი ნაბიჯის გადადგმა. ამაში ჩართული უნდა იყოს არა მხოლოდ ის, ვინც პარლამენტში შევიდა, არამედ, ვინც გარეთ დარჩა, ნაციონალური მოძრაობა.

მე შერიგების წინააღმდეგი არ ვარ. უნდა შევრიგდეთ და შეთანხმებას ხელი უნდა მოვაწეროთ, მაგრამ, თუ „ოცნება“ ისევ „გადაგვაგდებს“, მერე რას ვშვრებით?! მე ვერ ვურიგდები იმ ადამიანებს, რომლებმაც ანტისაოკუპაციო მიტინგი დაარბიეს და ახალგაზრდებს დამიზნებით თვალებში ესროლეს. ამას ვერ შევურიგდები! არ შეიძლება, ეს გზავნილი გავუგზავნოთ ახალგაზრდებს.

„ქართული ოცნებიდან“ მაქვს ინფორმაცია, რომ 20 ივნისის ღამის ყველა მონაწილის დამრბევის, დამკვეთის, შემსრულებლის შეწყალებას აპირებენ. აქ საუბარი არ არის მხოლოდ სამ პოლიციელზე. ესაა საქმე.

***— დავით ზურაბიშვილს ჰქონდა მოსაზრება, რომ 16 სამოქალაქო პირია მსჯავრდებული 20 ივნისის საქმეზე და მათი ამნისტირება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამი პოლიციელის ოდესღაც დასჯა რომელიმე ხელისუფლების პირობებში.***

— გასაგებია, რომ ამ სამი პოლიციელიდან არც ერთი არ არის ციხეში, მათ გირაო შეუფარდეს, მაგრამ ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული. „ქართულმა ოცნებამ“ იცის, რომ ის მუდამ ვერ იქნება და რომ დამარცხდება. რვა წლის თავზე ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვეღარ შეინარჩუნა საქართველოში ძალაუფლება. ვერც „ოცნება“ შეინარჩუნებს. ამიტომ ამნისტიის კანონი ხელისუფლებას უფრო აწყობს, ვიდრე ოპოზიციას.

20 ივნისის საქმის საბოლოოდ ჩაფარცხვა და დახურვა შეიძლება დღეს „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი ამოცანაა. საუბარია ანტისაოკუპაციო მიტინგზე, რომელიც 30 წლის განმავლობაში საქართველოში არ გამართულა. ეს არ იყო მორიგი მიტინგი, რომელიც, მაგალითად, დაარბიეს 7 ნოემბერს, 26 მაისს და ა.შ. საუბარია ანტისაოკუპაციო მიტინგზე, ოკუპანტთან კოლაბორაციის წინააღმდეგ აქციაზე, სადაც ახალგაზრდებს სრული სისასტიკით გაუსწორდნენ, თვალები დასთხარეს. ამიტომ, ვის უფრო სჭირდება ამნისტია, ნიკა მელიას თუ „ქართულ ოცნებას“?! ნიკა მელია რომ ციხიდან გამოვა, აქ ორი აზრი არ არსებობს. ის ძალიან მალე გარეთ იქნება.

***— თუ ოპოზიცია დაინახავს, რომ „ქართული ოცნება“ შეთანხმებიდან გადის, როგორ უნდა მოიქცნენ?***

— მტკიცედ უნდა ვიდგეთ და გავაგრძელოთ ისე, როგორც აქამდე ვაგრძელებდით. მკაცრი პროტესტი უნდა გაგრძელდეს.

***— ნაწილი რომ პარლამენტშია შესული?***

— თვითონ უნდა გადაწყვიტონ, რას იზამენ. დარჩებიან შიგნით, სრული მარგინალიზაცია მოხდება თუ გამოვლენ, აღიდგენენ დაკარგულ რეპუტაციას, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში მიადგათ. ვინც გარეთ ვართ, განა ჩვენ არ ვბჭობდით, შევიდეთ? არ შევიდეთ? სანამ ამნისტიის მუხლი არ იქნებოდა კარგად გაგებული, დაკონკრეტებული, არ ღირდა პარლამენტში შესვლა, მით უფრო, როდესაც ნიკა მელია ციხეშია. მიშელი კი გეტყვის, ამნისტია გააკეთეთ, მაგრამ, ამა თუ იმ მუხლში რა იქნება, ვის უნდა შეეხოს და ვის არა, ამასაც მიშელი ვერ გეტყვის. მუხლობრივად ხომ ვერ გაივლიდა?!

***— ნიკა მელიამ, როგორც მასთან შესულმა სალომე სამადაშვილმა თქვა, ახლა ოპოზიციის ერთობა ყველაზე მნიშვნელოვანიაო. როგორ ფიქრობთ, რამდენად არის შესაძლებელი?***

— რთული საკითხია. როგორ განვითარდება მოვლენები, ვნახავთ. რაც შეეხება სალომე სამადაშვილს, მე ვფიქრობ, რომ ის ნაციონალურ მოძრაობას უნდა გაემიჯნოს. ამომრჩევლის მიმხრობას წლები სჭირდება, დაკარგვას კი — წუთები.

# არჩილ თალაკვაძე: „მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ ძალიან ცუდად წააგო“



— დღეს პოლიტიკური უსინდისობის რეკორდი დაამყარეს, როდესაც ნაციონალური მოძრაობა თავის ოპოზიციონერ კოლეგებს გინებითა და შეურაცხყოფით დახვდა.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა არჩილ თალაკვაძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისი შეფასებით, პარტიები დარწმუნდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობა მიუღებელი წესებით თამაშობს.

— ნაციონალური მოძრაობა არის ანტისისტემური პოლიტიკური პარტია. ვგულისხმობ იმას, რომ ის დემოკრატიული სისტემის წინააღმდეგ არის მიმართული. კიდევ ერთხელ ვამბობ, მათი დნმ, გენეტიკური კოდი არის დესტაბილიზაცია, არეულობა და სწორედ ამის თავის მოხვევას ცდილობდნენ ისინი სხვა ოპოზიციაზე.

კარგია, რომ ოპოზიციაში გამოჩნდნენ ლიდერები, რომლებმაც ამ პროცესისგან თავი დაიხსნეს. თავიანთი დღის წესრიგი ჩამოაყალიბეს, რომელსაც ისევ ნაციონალური მოძრაობა გუშინ პარლამენტთან გინებითა და შეურაცხყოფით დახვდა. ეს ის მეთოდებია, რომლითაც თავის დროზე ზეწოლას ჩვენზე ცდილობდნენ, თუმცა არ გამოუვიდათ, როგორ გამოუვიდოდათ?! დღეს პოლიტიკური უსინდისობის რეკორდი დაამყარეს, როდესაც ნაციონალური მოძრაობა თავის ოპოზიციონერ კოლეგებს გინებითა და შეურაცხყოფით დახვდა.

ეს არის ზუსტად ის გამონათქვამი „რასაც დათესავ, იმას მოიმკი“. სამწუხაროდ, ის პარტიები, რომლებიც ამ რადიკალიზმში ადრე ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად მონაწილეობდნენ, დღეს თავად დარწმუნდნენ, რომ ისინი მიუღებელი წესებით თამაშობენ. ამიტომ, როცა მოედანზე წესებს უხეშად არღვევ, ნახავთ, რომ ძალიან მალე ნაციონალური მოძრაობა ასეთ შედეგს მიიღებს, — განაცხადა თალაკვაძემ.

მისი თქმით, ეს არის ნაციონალური მოძრაობის წაგებული თამაში, რომელშიც მთავარ როლს ნიკა მელია ასრულებს.

— მას შემდეგ, რაც ფიასკოთი დაასრულეს პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი და მათი ხელოვნური კრიზისი, დესტრუქციული გეგმა გაკოტრდა ოფიციალურად, მათ აქვთ რამდენიმე წაგებული თამაში, წაგებული სცენარი და შეუძლიათ, აქედან ერთ-ერთი აირჩიონ. ერთი, უკვე ხედავთ, რაც ხდება — ადამიანი, რომელიც ამბობდა, რომ „არ გადავიხდი, ვერ დამიჭერენ“ და ამას ძალიან პრინციპულად ამბობდა, ადამიანი, რომელმაც ქვეყანა ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში მას შემდეგ, რაც ევროკავშირი გამოვიდა და თქვა, ბოლოს და ბოლოს ჩვენ გადაგიხდით ამ გირაოს, ამ პრინციპული განცხადების შემდეგ მან თქვა, მზად ვარ, გირაო მივიღოო, ჯერ თქვა, თავდებში თუ დამიდგებიან ევროპარლამენტარებიო და ნახა, რომ იქიდან გამოხმაურება არ იყო. მერე თქვა, ევროკავშირის გირაოს დავთანხმდები, თუ პარლამენტი ამნისტიას არ მიიღებსო ანუ თუ ამ შეთანხმებას დაარღვევთ, მზად ვარ, გამოვიდეო.

ეს არის ნაციონალური მოძრაობის წაგებული თამაში, მელიაა მთავარ როლში.

მეორე სცენარია ის, რომ ნაციონალური მოძრაობა არ ჩაერთვება საპარლამენტო პროცესში. ესეც კიდევ უარესად წაგებული თამაშია და უარესად გაკოტრდებიან, — განაცხადა თალაკვაძემ.

მან მიხეილ სააკაშვილის განცხადებაც შეაფასა და აღნიშნა, რომ მან „კიდევ ერთხელ, ძალიან ცუდად წააგო“.

— მიხეილ სააკაშვილი მიხვდა, რომ ბოიკოტის, ქუჩაში ყოფნის დესტრუქციული გეგმა გაკოტრდა, ხალხის მხარდაჭერა დაკარგა, თუმცა თავიდანვე არ ჰქონდა დიდი მხარდაჭერა. ნახა, რომ თუ არ შევა პარლამენტში, ის თვითმმართველობის არჩევნებში კიდევ უფრო მძიმე შედეგით დაასრულებს. ამას მეტი ახსნა, უბრალოდ, არ აქვს, — განაცხადა თალაკვაძემ.

# ირაკლი კობახიძე: „მოძალადე მელიას მაინც შევიწყალებთ“



— ჩვენ მოძალადე მელიას მაინც შევიწყალებთ. ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება.

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, მელიას ნებისმიერ დროს შეუძლია, ციხიდან გამოვიდეს, თუმცა ის „ვერ გამოეტია ციხის კარიდან“.

— მუდმივად გვესმის საუბარი იმაზე, რომ მელიას ხან გირაო არ სურს, ხან ამნისტია არ სურს. ნებისმიერ დროს შეუძლია გამოვიდეს და ვერ გამოეტია ციხის კარიდან. რაც შეეხება გირაოსა და ამნისტიას, ორივე შემთხვევაში ეს არის მელიას გადასაწყვეტი. მელიას შეუძლია, მიიღოს ან არ მიიღოს ამნისტიის კანონი. ეს შესაძლებლობაც ასახულია ამნისტიის შესახებ კანონში. თუ მელია არ დაეთანხმება შესაბამის გირაოს, ჩვენ მოძალადე მელიას მაინც შევიწყალებთ. ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება, ხოლო მას შეუძლია, შემოვიდეს და შეუძლია, არ შემოვიდეს პარლამენტში, — განაცხადა კობახიძემ.

მან დასძინა, რომ თუ ოპოზიცია ამნისტიის შესახებ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერს, ეს იქნება მისი მხრიდან შეთანხმების წინააღმდეგ წასვლა იმ დოკუმენტზე, რომელსაც ხელი ორივე მხარემ მოაწერა.

# სალომე სამადაშვილი: „ნიკა მელია არის ძალიან მხნედ და კმაყოფილია, რომ გიორგი რურუა გათავისუფლდა“



— ნიკა მელია არის ძალიან მხნედ, კმაყოფილია, რომ გიორგი რურუა გათავისუფლდა.

ამის შესახებ დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა გუშინ, 28 აპრილს, რუსთავის პენიტენციარული დაწესებულების დატოვების შემდეგ განაცხადა, სადაც ის ნაციონალური მოძრაობის ბრალდებულ თავმჯდომარე ნიკა მელიას შეხვდა.



როგორც სამადაშვილი აცხადებს, ნიკა მელიას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, ოპოზიციამ ერთიანობა შეინარჩუნოს.

— პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ ნიკა მელია არის ძალიან მხნედ, ძალიან კმაყოფილია, რომ გიორგი რურუა გათავისუფლდა. მას მიაჩნია, რომ დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, ოპოზიციამ შეინარჩუნოს ერთიანობა. ჩვენ მასთან მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ვისაუბრეთ, იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ შეთანხმების გამოყენება ყველაზე უფრო პოზიტიურად როგორც ნიკას გასათავისუფლებლად, ასევე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად, — აცხადებს სამადაშვილი.

სალომე სამადაშვილი იმედოვნებს, რომ ნიკა მელია საპატიმროს მალე დატოვებს.

— ვფიქრობ, ნიკამ ძალიან კარგად იცის, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც მე მივიღე, იყო როგორც ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე ის, თუ როგორ ვაფასებ მე ამ ვითარებიდან გამოსავლის გზას. ერთი პოლიტპატიმარი უკვე გათავისუფლდა, დიდი იმედი მაქვს, მალე მეორესაც გავათავისუფლებთ, — აცხადებს სამადაშვილი.

# შალვა ნათელაშვილს კოვიდი დაუდასტურდა

შალვა ნათელაშვილს კოვიდი დაუდასტურდა.

ამის შესახებ ლეიბორისტების ლიდერმა ფეისბუქში დაწერა:

„ძვირფასო მეგობრებო, დამიდგინდა კოვიდი. პროცესი მიმდინარეობს მსუბუქად. ვარ ორკვირიან იზოლაციაში და ვმუშაობ სახლიდან.

ყველა ძალიან მენატრებით და მიყვარხართ.“

ახალი თაობა

გამოდის

1993 წლის

23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციის გადარჩენის შანსი მის ერთიანობაშია“

## ხათუნა გოგორიშვილი: „სირცხვილი არ არის, მიხვიდე მაკო გომურთან და უთხრა – ბოდიში“



იაგო ნაცვლიშვილი

**რა ვერ გააკეთა სწორად ოპოზიციამ, რატომ გაუჩნდა ხალხს ნიჰილიზმი პოლიტიკური აქტორების მიმართ, რა შეცვლის ამ განწყობებს, რატომ თვლის, რომ ოპოზიციაში კინკლაობა უნდა დასრულდეს და რატომ მიიჩნევს ერთადერთ გამოსავლად ოპოზიციურ ერთობას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ხათუნა გოგორიშვილი საუბრობს.**

***– ოპოზიციაში მწვავე დისკუსიაში გადაიზარდა პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი. არ გგონიათ, რომ დრო მოვიდა, ისევ დიალოგის რეჟიმში გადახვიდეთ?***

– ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რაც ოპოზიციამ უნდა გავაკეთოთ. საქმე ის გახლავთ, რომ თუ რაიმე შედეგი დაიდო, ეს შედეგი დაიდო ერთობით. შედეგი რომ დაიდო, ამას ისიც მოწმობს, რომ გიორგი რურუა თავისუფალია. ეს იყო ერთიანობის შედეგი და სხვა არაფრის. ახლა გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ განსხვავებები გვერდზე გადაიდოს და საერთო რაც არის, იმაზე ვიფიქროთ. ერთიანობით არის შესაძლებელი ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ დამარცხება.

***– რა გაძლევთ საფუძველს, თქვათ, რომ „ოცნებას“ დაასრულებთ? ვნახეთ, არჩევნებზე რა შედეგიც დადეთ. იმის მიუხედავად, როგორც ჩატარდა, მაინც არასასურველი შედეგი დადეთ. ვხედავთ კვლევებსაც, სადაც მცირდება ოპოზიციის რეიტინგი.***

– ოპოზიციის რეიტინგი პირდაპირ დამოკიდებულია მისი ამომრჩევლების დამოკიდებულებაზე. როდესაც ადამიანს გააჩერებ ქუჩაში და რაღაცას ჰკითხავ, ყველა გვეუბნება, ყველანი ერთნაირები ხართო. ასეთი ნიჰილიზმია საზოგადოებაში ახლა, მაგრამ მე მახსოვს, ცოტა ხნის წინ ხალხი გვეუბნებოდა, რა კარგია, ყველა ერთად რომ ხართო. ერთიანობა ის არის, რაც სჭირდება ამ ქვეყანას და არის ის, რაც ამ ადამიანებს შემოაბრუნებს პოლიტიკისკენ. ახლა ასეთი დამოკიდებულება სწორედ იმან გამოიწვია, რომ კინკლაობა და აზრთა სხვადასხვაობაა.

ის, რომ „ქართული ოცნება“ დასრულებულია, „ოცნებაში“ უკეთესად იციან და ამის მაჩვენებელი ძალიან ბევრი რამეა. რა ხდება პანდემიასთან, ლართან თუ ეკონომიკასთან დაკავშირებით, ამაზე აღარაფერს ვამბობ. თურმე ახლა იწყებენ გადატვირთვას. აქამდე რას აკეთებდნენ, ვერ გაიგებ.

***– ამაზე ხომ არ იქნება მათი კამპანია აგებული?***

– ეს არის მეათეხარისხოვანი. გამოვიდა ირაკლი ქადაგიშვილი და აცხადებდა, ჩვენი პოზიცია დავდეთ და დამთავრდაო. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რას იტყვიან ქადაგიშვილი, თალაკვაძე, კობახიძე, პეტრიაშვილი თუ პავლიაშვილი. მეორე დღეს, შესაძლოა, ბიძინამ სხვა ხასიათზე გაიღვიძოს, სხვანაირად მოეჩვენოს ხალხის ქუჩაში გამოსვლის შესაძლებლობა... ბიძინას ორი რამის ეშინია: ქუჩაში ხალხის გამოსვლის და რომ უცხოელები მის პირად კეთილდღეობას არ დაემუქრონ. ამ ორი რამის მიღწევა შესაძლებელია ოპოზიციის ერთად დგომით. გინდა 43% დაწერონ შეთანხმებაში, გინდა – 243%, რაც უნდათ, ის ჩაწერონ და მერე იკითხონ. მთავარია ხალხის განწყობა, ხალხის დამოკიდებულება და ის, თუ რას გააკეთებს ხალხი.

***– რას გააკეთებს ოპოზიცია, რომ ეს ხალხი საკუთარი მიმართულებით მიიზიდოს?***

– ზუსტად ვიცი, როგორ ცდილობენ ოპოზიციის წარმომადგენლები ამ ხალხის შემობრუნებას. ვიცი პრეტენზიები, რომლებიც ხალხის მხრიდან მოდის. ამის შველა ერთ რამეშია. ეს არის ერთობა. შემიძლია, ამაში დაგარწმუნოთ. ის შეცდომებიც, რომლებიც დაშვებულ იქნა, ყველამ უნდა გააანალიზოს.

შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერა ასე მოუმზადებლად არ შეიძლებოდა. აუცილებელი იყო პირველ რიგში 20 ივნისს დაზარალებულებთან და სამოქალაქო აქტივისტებთან შეხვედრა და ასევე ხალხთან შეხვედრა და ახსნა.

ბოდიშის მოხდა არავის უნდა შერცხვეს. არ არის სირცხვილი, მიხვიდე მაკო გომურთან და უთხრა ბოდიში და უთხრა, რომ იცი რა, მაკო, მე არც ერთი სანტიმეტრით არ დავიხევ უკან იმისთვის, რომ ადამიანი, რომელმაც შენ ასე გაგიმეტა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს. ეს უნდა აუხსნა. ხელმოწერა ამას რომ არ ნიშნავდა, ეს ახლა კი არ უნდა იძახონ, არამედ მანამდე უნდა ელაპარაკათ. მესმის, რომ უცხოეთიდან არის ჩამოსული ადამიანი, მესმის, რომ ეჩქარებათ, მაგრამ უნდა აეხსნათ.

***– ოპოზიციის ეს ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ ევროპელების ბოლო შემოთავაზება იყო ეს. რა უნდა გაეკეთებინათ ამ ვითარებაში?***

– ევროპელებისთვის უნდა ეთქვათ, რომ მინიმუმ ერთი დღე გვჭირდება ტაიმაუტი და აუცილებლად უნდა გასულიყვნენ ხალხთან სალაპარაკოდ.

***– ანუ სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს?***

– სტრატეგიულიც და ტაქტიკურიც. პირველ რიგში ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ ერთიანობა არ დარღვეულიყო. აუცილებლად უნდა დაერწმუნებინათ განსხვავებულ აზრზე მყოფი ადამიანები. ახლა მესმის, მე ხვალ წავალ და დღეს წავალ ნიკა მელიასთანო. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, მანამ უნდა წასულიყვნენ მელიასთან და მანამდე უნდა მისულიყვნენ ხალხთან.

***– ვინც ხელი არ მოაწერა, მათი მხრიდან შეცდომები არ ყოფილა?***

– მათაც უნდა ჰქონოდათ საშუალება, რომ ერთად დამსხდარიყვნენ და ელაპარაკათ. ახლა ხდება დოკუმენტზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ეს მანამდე უნდა ყოფილიყო. უნდა ეთქვათ ელჩებისთვის, ჩვენი ერთობა ყველაფერზე მაღლა დგას და გვაცალეთ, რომ ერთობა არ დაიშალოსო.

***– როგორც თავად ამბობენ, სასწორზე საქართველოს ევროპული მომავალი იდო.***

– საქართველოს ევროპული მომავალი იმ შემთხვევაში დაიდებოდა სასწორზე, თუ შედეგი არ დაიდებოდა და შედეგი მაინცდამაინც იმ დღეს დაიდებოდა თუ ორი დღის შემდეგ, არა მგონია, ამას ევროპულ მომავალზე დამოკიდებულება ჰქონოდა. ზოგადად შედეგზე იყო ლაპარაკი და არა მყისიერ შედეგზე.

ოღონდ არ გეგონოთ, რომ ამას პრესასთან ვლაპარაკობ მხოლოდ. არა, ყველას ველაპარაკები სათითაოდ. ვისმენთ ერთმანეთის არგუმენტებს. ორივე მხარეს აქვს წონადი არგუმენტები, მაგრამ იმას, რომ მთავარი ერთობაა, ყველა აღიარებს და ამას ალტერნატივა არ აქვს.

***– რაღაც თვალსაზრისით კარგიც ხომ არ არის ის, რაც მოხდა? ვინაიდან „ოცნების“ რიტორიკა იყო სულ, რომ ბოკერია-სააკაშვილი-ბურჯანაძე მართავენ მთელ ოპოზიციას. ამით კი დავინახეთ განსხვავებული სურათი.***

– მე და თქვენ ოპტიმისტები ვართ. ოპტიმისტები ასე ვფიქრობთ, რომ ეს კარგიც არის, მაგრამ ადამიანების დამოკიდებულებას განსაზღვრავს მათი მსოფლმხედველობა. არიან ადამიანები, რომლებსაც რაც არ უნდა დაანახო, ყველაფერში ცუდს ხედავენ. რადგან მე და თქვენ ოპტიმისტები ვართ, ყველას მოვუწოდოთ, რომ ოპტიმისტები იყვნენ, იმიტომ, რომ მე და თქვენ აშკარად ოპტიმისტები ვართ.

***– ვუერთდები თქვენს მოწოდებას. რთულია ამ ქვეყანაში ცხოვრება ოპტიმიზმის გარეშე.***

– ვხუმრობ ხოლმე, ადამიანი ამ ქვეყანაში ფსიქიატრის სამკურნალო რომ არ გახდეს, ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ იფიქროს – ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება.

# „ეროვნული ბანკი ძალიან არაადეკვატურად იქცევა“

## პაატა შეშელიძე: „მთავრობა პანდემიას ბოროტად იყენებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში პაატა შეშელიძე პასუხობს.**



***– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას? ძალიან მძიმე დღეშია ეროვნული ვალუტა. ამ ფონზე ვისმენთ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის განცხადებებს, ჩვენი ამოცანა არ არის და ვერც იქნება გაცვლითი კურსის მართვაო. რამდენად ადეკვატურები არიან?***

– ორ საკითხს გამოვყოფ ამ ეტაპზე. პირველი, ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ ის არ არის პასუხისმგებელი გაცვლით კურსზე, რაც არის ტყუილი. ყველასთვის გასაგებია, რომ გვენეტაძე იტყუება და, შესაბამისად, მოლოდინები არის ნეგატიური. მეორე ის, რომ მთავრობამ დააანონსა რაღაც მეგაპროექტი, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტებში ახალ პროექტებსა და მათ განახლებას. ჯერჯერობით კი არ არის ცნობილი, თუ რა თანხით აპირებენ ამის გაკეთებას. ცხადია, აქაც მნიშვნელოვანი კომპონენტია არჩევნები და ამ არჩევნების წინ დაინტერესებული ჯგუფების მოსყიდვა.

***– რეგიონებისთვის ახალი სუნთქვა, რაც პრემიერმა დააანონსა, წინასაარჩევნო კამპანიაა?***

– ეს ახალი სუნთქვა სინამდვილეში არის ინტერესჯგუფებისთვის და ეს ხდება წინასაარჩევნოდ. აქედან გამომდინარე, ეს ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ძალიან ნეგატიურ განწყობას ტოვებს. წარმოიდგინეთ, ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს იმაზე, თუ როგორი იქნება გაცვლითი კურსი, მთავრობა კიდევ პირდაპირ მოსყიდვის გზით მიდის მოახლოებულ არჩევნებზე, თითქოს გასული არჩევნების შედეგი და მის მიმართ უკმაყოფილება არ იყო საკმარისი. მოკლედ, ეს არის, ძალიან ნეგატიური განწყობებია, მთავრობა კი არაფრის შეცვლას არ აპირებს. არ აპირებს დამოკიდებულების შეცვლას, არანაირი სიახლის მოლოდინი არ მაქვს. არა მარტო ჩემი, არამედ ძალიან ბევრი ადამიანის პროგნოზი საკმაოდ ნეგატიურია.

***– საშველი არ არის?***

– მე ვფიქრობ და ხაზს ვუსვამ კიდევ ერთხელ, რომ პიროვნული ცვლილებების გარეშე წინსვლა და დადებითი ნაბიჯები, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ახლა ერთი დადებითი სიგნალი იყო, რომ პარლამენტის თავმჯდომარე შეიცვალა და შედარებით ნაკლებად გამაღიზიანებელი ადამიანი მოვიდა. მეორე მხრივ, ეროვნული ბანკი იქცევა ძალიან არაადეკვატურად და ვერანაირ გამოწვევას ვერ პასუხობენ. ჩემი მოლოდინები დამაიმედებელი ნამდვილად ვერ იქნება.

***– ამ ყველაფერს ემატება 12-დღიანი ჩაკეტვა. ამბობენ, რომ შესაძლოა, ეს გახანგრძლივდეს. ეს დამატებითი დარტყმა იქნება ჩვენს ეკონომიკაზე?***

– მე ვფიქრობ, რომ პანდემია ბოროტად არის გამოყენებული. ადამიანებს ხელს უშლიან მიზანმიმართულად, რომ მოერგონ ახალ რეალობას. ეს არის ფუნდამენტურად არასწორი მიდგომა, რომელიც არ იძლევა საშუალებას, ადამიანები მოერგონ ახალ ვითარებას. ფაქტობრივად, ესეც პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება. სინამდვილეში გამოკვეთილია ის, რომ ხშირად ეს შეზღუდვები კეთდება პოლიტიკური ნიშნით ანუ პოლიტიკური ხრიკებია ეს ყველაფერი, ვიდრე რეალური პრობლემების მოგვარება.

***– ეროვნულ ბანკზე საუბრობდით და დიდი აჟიოტაჟია მოსახლეობაში, რადგან გაიზარდა რეფინანსირება. მოსახლეობას აღებულ კრედიტებზე კიდევ უფრო გაუძვირდა პროცენტები. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– რეფინანსირების განაკვეთი არის ძალიან დამაბნეველი, მით უმეტეს – რიგითი ადამიანებისთვის. რეფინანსირების განაკვეთი ახდენს გავლენას კომერციულ სესხებზე იმ გაგებით, რომ არის ხშირად დათქმა, რომ მისი ცვლილება აისახება კომერციული სესხის განაკვეთზე. მე რომ მკითხონ, თვითონ მონეტარული პოლიტიკა რადგან თავიდან ბოლომდე არასწორად მიმაჩნია, შესაბამისად, არასწორად მიმაჩნია საერთოდ რეფინანსირების განაკვეთის არსებობა, ვინაიდან არ უნდა იყოს ეს ეროვნული ბანკის ფუნქცია, რომ ჰაერიდან მოტანილი ფულით დაეხმაროს ბანკებს. ადამიანს რომ უჭირს, მას არ შეუძლია, დახატოს ფული. ეს ფული უნდა გამოიმუშაოს, მაშინ როცა კომერციულ ბანკებს შეუძლიათ, ეროვნული ბანკის მეშვეობით დახატული ფული გამოიყენონ თავიანთი პრობლემების მოსაგვარებლად, რაც ფუნდამენტურად არასწორი საკითხია. ეს ინსტრუმენტი საერთოდ არ უნდა იყოს. ახლა იმაზე ლაპარაკი, 9 ჯობია თუ 8, არის სრული სისულელე. ეს ინსტრუმენტი, რომელიც რეფინანსირების სახელით არის ცნობილი, საერთოდ არ უნდა არსებობდეს. ეს არის ჩემი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. სხვა კომპრომისული აზრი მე არ მაქვს. ბოროტება ბოროტებაა. ეს, უბრალოდ, უნდა გაუქმდეს.

***– არაერთხელ გითქვამთ, რომ ხელისუფლებას, ეკონომიკურ გუნდს, არ აქვს სწორი ხედვა. საით მიჰყავთ სიტუაცია, მით უმეტეს ამ პანდემიის პირობებში?***

– გამოსავალს ვხედავ მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულ ცვლილებებში. ადამიანები, რომლებიც დღეს მართავენ ამ სიტუაციას, ნამდვილად არაკომპეტენტურები არიან ან სრულიად სხვა გეგმები აქვთ, რომელიც ჩვენს გეგმებს არ შეესაბამება. ეს აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ეს ადამიანები არ არიან ამ გამოწვევისთვის და ჩვენთვის სასარგებლო. ისინი მხოლოდ თავიანთ ინტერესებს ემსახურებიან და არა ჩვენსას, ამ შემთხვევაში. რა არის გამოსასწორებელი, მე რომ ვუკარნახო, რა აზრი აქვს. გააკეთებენ?! არ გააკეთებენ, იმიტომ, რომ მათ სულ სხვა ამოცანები აქვთ.

***– ადგილობრივი არჩევნები მოდის და ახლა ალბათ მთლიანად ამაზე გადაერთვება ხელისუფლება.***

– რა თქმა უნდა, გადაერთვებიან. ცხადია, ასე იქნება. გამოაცხადეს კიდეც, რომ უკვე გადაერთვნენ. ნახევარი მილიარდის დახარჯვას აპირებენ და სინამდვილეში ეს კეთდება ინტერესჯგუფების მოსასყიდად. აბა პარკებისა და სკვერების კეთება რა ცენტრალური მთავრობის საქმეა?! კანონმდებლობით გაწერილია, ვინ რაზე აგებს პასუხს. მთავრობა რა შუაშია ამასთან დაკავშირებით?! ეს ყველაფერი კი ისევ და ისევ შეჭირვებული მოსახლეობის ხარჯზე მოხდება.

***– არის რაიმე ბერკეტი, რომ ლარის გაუფასურება, ფასების კატასტროფულად ზრდა როგორმე შეჩერდეს?***

– რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ეს ადამიანები ამისთვის მზად არ არიან. რადიკალური ცვლილებები, მონეტარული რეფორმა, დეცენტრალიზებაა საჭირო და ესენი ამას არ გააკეთებენ.

***– კონკრეტული მინისტრების შეცვლას რა აზრი აქვს, როცა ამბობენ, რომ ყველაფერი ერთი კაცის მიერ იმართება, რომ ყველაფერს ივანიშვილი წყვეტს?***

– რა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში არც ერთი მინისტრი დამოუკიდებელი არ არის. მათ აზრს, უბრალოდ, მნიშვნელობა არა აქვს. ისინი ემსახურებიან სულ სხვა ამოცანას. დღეს ხელისუფლებაში მყოფნი ყველანი ერთი ადამიანის მსახურები არიან. აბა სხვაგვარად როგორ წარმოგიდგენიათ სიტუაცია? აკეთებენ იმას, რაც იმ კონკრეტულ ადამიანს უნდა და არა იმას, რაც ქვეყნის განვითარებას სჭირდება. მთელი შეგნებული ცხოვრება ამ კაცის სამსახურში იდგნენ და ისინი ახლა სხვა რამეს გააკეთებენ? რა თქმა უნდა, არ გააკეთებენ. რომც ჰქონდეთ სურვილი, ვერაფერს შეცვლიან. ამიტომ ამ ეტაპზე არანაირი დამაიმედებელი პროგნოზი არ არსებობს.

## „ორჯერ აცრილი ადამიანებისთვის შეიძლება კომენდანტის საათი მოიხსნას“




– ვაქცინირებული პირებისთვის, შესაძლოა, კომენდანტის საათი გაუქმდეს.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული ინიციატივით საკოორდინაციო საბჭოს მომავალ კვირას მიმართავენ.

– ამაზე ჩვენ ვმუშაობთ, რამდენიმე პუნქტი, რაც საერთაშორისო გამოცდილებით არის, იგივე კომენდანტის საათის დროს თავისუფალი გადაადგილება, უცხოეთში მგზავრობის დროს შესაბამისი დოკუმენტი, იგივე კიდევ სხვა ინიციატივები, რამდენიმე ასეთზე ვმუშაობთ, რომელსაც წინასწარ ვერ გავაჟღერებ, რომ მოსახლეობას ჰქონდეს უფრო მეტი დაინტერესება, სწრაფად და სრულად იქნეს აცრილი.

ამ ადამიანებს, რომლებიც ორჯერადად არიან აცრილები, მთელ რიგ ქვეყნებში გარე სივრცეებში პირბადე არ მოეთხოვებათ, მაგრამ მოეთხოვებათ დახურულ სივრცეში, ასევე აქვთ შეღავათები კომენდანტის საათსა და სხვა შეზღუდვებთან მიმართებით, – განაცხადა გამყრელიძემ.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# ლევან ჩაჩუა: „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მოვიდეს“

## „უმძლავრეს და ახალ ძალად შეიძლება იქცეს იმ ადამიანების გაერთიანება, რომლებიც არასდროს ყოფილან პოლიტიკაში“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.**



***– ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში შევიდა. შეწყალებულია გიორგი რურუა. დაიწყო ხელმოწერილი შეთანხმების რეალიზაცია. თქვენი აზრით, პოლიტიკური კრიზისი დაძლეულია?***

– პოლიტიკური კრიზისი არც ყოფილა. ის, რაც ხდებოდა და კიდევ გრძელდება, არის პოლიტიკური თამაშები და სრული მარაზმი. ოპოზიცია ჯერ თავს იკლავდა, რომ არ შევიდოდა პარლამენტში. ახლა შევიდა. გვეუბნებიან, რომ ესაა საზოგადოების დაკვეთა. ხალხის დაკვეთა სულ სხვა იყო. საზოგადოებამ იმიტომ მოიყვანა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“, რომ ნაციონალური მოძრაობის რეჟიმი შეეცვალა. ამას ითხოვდა სააკაშვილის რეჟიმისგან გაუბედურებული და რეპრესირებული ხალხი. შედეგად რა მივიღეთ? ცოტა ხნის წინ „ოცნება“ ყელგამოწევით ეხვეწებოდა ნაცმოძრაობასა და მის ორბიტაზე მოტრიალე სახელგატეხილ პარტიებს, პარლამენტში შემოდითო.

***– ამას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაფორმებული დოკუმენტიც ითვალისწინებს.***

– ამ დოკუმენტს როგორ აწერდნენ ხელს?! ერთი მხარე მეორეს ასწრებდა ერთმანეთის დასმენას, თან, გარიგებაც არის ამ ყველაფერში ჩადებული.

***– რა გარიგება?***

– ნაციონალური მოძრაობა უნდა დაბრუნდეს. მოვა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ნახავთ, როგორი გადავსებული იქნება საკრებულოები ნაციონალებით. შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებზე იგეგმება ნაცმოძრაობის გამარჯვება.

***– ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრობთ. ამ პარტიის შემადგენლობის 99% პარლამენტში არ შესულა. გარეთ დარჩენილები შესულებს მიმართავენ, რომ დეპუტატის ხელფასები და პრივილეგიები არ შერჩებათ.***

– ამით ხალხს ვერ მოატყუებენ. ახლანდელი „გირჩის“ წევრები და სხვები, რომლებიც ადრე ნაციონალურ მოძრაობაში იყვნენ, ნაციონალებად რჩებიან. როგორც ყოფილი „კგბ“-შნიკი არ არსებობს, ისე არ არსებობს ყოფილი ნაციონალი. სამარცხვინოა ამ პოლიტიკური სპექტრის მოქმედებები – ერთმანეთთან გარიგება თუ ერთმანეთის დასმენა. მე-16 და მე-17 საუკუნეებში ქართველი თავადები ყველაფერზე მიდიოდნენ, რომ საერისთავოები და სათავადოები ჩაეგდოთ ხელში ან შეენარჩუნებინათ. ისინი დადიოდნენ ოსმალეთსა და სპარსეთში, ცდილობდნენ კეთილგანწყობის მოპოვებას, რჯულსაც კი იცვლიდნენ. ესენიც იმათ გზას ადგანან. ამ orromtრიალის შედეგი შეიძლება გახდეს გაშლილი ნაცმოძრაობის დაბრუნება. ნაციონალური მოძრაობა თუ არ შესულა პარლამენტში, ეს არაფერს ნიშნავს. ამათი მოსატყუებელი აღარავინაა. საზოგადოება ისეა ნაწყენი „ოცნებაზე“, არჩევნებზე საერთოდ არ მივა.

***– საპარლამენტო არჩევნებამდე იქნებ გამოჩნდნენ ძალები, რომლებსაც საზოგადოება მხარს დაუჭერს და არჩევნებზეც მივა?***

– ეს სულაც არ არის გამორიცხული. ჩემი აზრით, წარმატების შანსი აქვთ გაუსვრელ ადამიანებს, რომლებიც არ არიან პოლიტიკოსები. უმძლავრეს და ახალ ძალად შეიძლება იქცეს იმ ადამიანების გაერთიანება, რომლებიც არასდროს ყოფილან პოლიტიკაში. ასეთი გაერთიანება თუ ჩამოყალიბდა, მაშინ ადამიანები სახლში არ დარჩებიან და არჩევნებზე გულს არ აიცრუებენ. მესამე ძალაზე არ ვსაუბრობ. ამ ე.წ. მესამე ძალად ხან გახარიას ასახელებენ, ხან – „უცნობს“. გახარია – პრემიერ-მინისტრი, მანამდე კი შს მინისტრი იყო. მის სინდისზეა მარიხუანის კულტივაციის მცდელობა, უცხოელებისთვის მიწების მიყიდვის დაკანონების სწრაფვა. რიონის ხეობაში 600 ჰექტარამდე მიწის გასხვისების გადაწყვეტილება მისი ხელმოწერილია. ახლა ამ კაცზე ამბობენ, რეიტინგული პარტია ექნებაო. „უცნობს“ თავისი შეცდომები აქვს. მისი შოუებიც ყავლგასულია.

***– არ ფიქრობთ, რომ პოლიტიკური თანხმობა და პარლამენტში შესვლა საზოგადოების დაკვეთაა? საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებმაც ოპოზიციას ხმა მისცეს, მაგრამ არ იზიარებენ ოპოზიციის რადიკალიზმს.***

– ასეთი ადამიანი ძალიან ცოტა იქნება. ჯერ ერთი, ნაციონალურ მოძრაობას იმდენი ხმა არ აუღია, რასაც მიაწერენ. არჩევნები მხოლოდ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არ გაყალბებულა. ზოგ უბანზე „ქოცები“ და ნაცები ჩვენი და ჩვენნაირი პარტიების ხმებს ძმურად იყოფდნენ. ნაცმოძრაობას არ ჰყავს დიდი ამომრჩეველი, იმათი რაოდენობა კი, ვინც ხმა მისცა და ახლა ოპოზიციის მოქმედება არ მოსწონს, მიზერულია.

***– 23 მაისს ნამახვანჰესის საწინააღმდეგო აქცია თბილისში იმართება. უერთდებით მას?***

– რასაკვირველია. ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის წინააღმდეგ ხანგრძლივ აქციებს ატარებენ ხეობის დამცველები. ჩვენი მოძრაობა მათ უერთდება. ქუთაისის ორივე აქციაზე, ასევე სოფლებში ვიყავით და ვმონაწილეობდით. ვმონაწილეობდით ხალხის მობილიზაციის კუთხით. ბუნებრივია, ჩვენ 23 მაისის აქციასაც ვუერთდებით. ვიმედოვნებ, რომ ბრძოლა შედეგს გამოიღებს. ის არ შეწყდება მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება აქციის მონაწილეთა სამართლიანი მოთხოვნები.

# პეტრე მამრაძე: „ოცნებამ“ უხეში და მიუტევებელი შეცდომები დაუშვა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.**



***– ბატონო პეტრე, არჩევნების შემდეგ ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისში ცხოვრობდა. დასავლელი პოლიტიკოსების ძალისხმევით ოპოზიციასა და „ოცნებას“ შორის გაფორმებული შეთანხმებით ოპოზიციის ნაწილმა პარლამენტში მუშაობა იკადრა. რას შეცვლის ეს შეთანხმება და ამ კვაჭი ოპოზიციური ჯგუფების პარლამენტში ყოფნა?***

– არავითარი პოლიტიკური კრიზისი საქართველოში არ ყოფილა. თუ ვილაცები უწოდებდნენ ამას პოლიტიკურ კრიზისს თავიანთი ახირების გამო, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეალური კრიზისი იყო.

***– ოპოზიცია ქმნიდა ამგვარ სიტუაციას და ამბობდა, კრიზისიაო.***

– ოპოზიცია ამბობდა, თორემ რეალური კრიზისი მაშინ არის, როდესაც პარლამენტი ვერ გროვდება, კვორუმი არ არის და პარლამენტი ვერ ფუნქციონირებს. ეს არ ყოფილა. პარლამენტი შესანიშნავად მუშაობდა, კანონებს იღებდა, ბიუჯეტის კანონი მიიღო. ასევე კრიზისია, თუ მთავრობა ვერ მტკიცდება და პრემიერი გადადგება ერთხელ, ორჯერ.

კრიზისია, როდესაც ხალხი მთავრობას დაუმორჩილებლობასა და უნდობლობას უცხადებს, როგორც იყო 2012 წელს. როდესაც 300 ათასზე მეტი ადამიანი ქუჩაში იდგა და ივანიშვილს მხარს უჭერდა, აშკარად ეწინააღმდეგებოდა სააკაშვილის სადისტურ რეჟიმს. სააკაშვილმა მერაბიშვილს ღია ეთერში უთხრა, სისტემამ კრახი განიცადაო. მსგავსი რამ იყო ვარდების რევოლუციის დროს, როდესაც ხალხმა უარი უთხრა მართლა გაყალბებულ არჩევნებს, გადაიზარდა მასშტაბურ აქციებში და არ დასრულდა მანამ, სანამ შევარდნაძე არ გადადგა. ახლა მსგავსი არაფერი ყოფილა.

***– მაშინ, რა საჭირო იყო უცხოელების შეწუხება და შეთანხმება?***

– ეს იყო „ოცნების“ მხრიდან დაშვებული უხეში და მიუტევებელი შეცდომების შედეგი. უშეცდომო არავინაა, მაგრამ, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები უშვებენ უხეშ, მიუტევებელ და პრიმიტიულ შეცდომებს, ასეთი შედეგი მიიღება. ჩვენ გვახსოვს პერიოდი, როცა ელჩები და დასავლელი პარტნიორები არ ლაპარაკობდნენ კრიზისზე. ძალიან მტკიცედ ამბობდნენ (მათ შორის, სახელმწიფო დეპარტამენტის უპრეცედენტო განცხადება იყო), რომ ოპოზიცია პარლამენტში უნდა შესულიყო – ამომრჩეველი არ უნდა გააწბილოს, თუ არადა, ყველას მოგვიწევს იმ კინოს ყურება, რომელიც ადრე უკვე გვინახავსო.

გვახსოვს უცხოელების შეფასება, რომ რურუა პოლიტპატიმარი კი არა, კრიმინალური დაჯგუფების მეთაურია, რაზეც გვარამიაც წერდა, როცა დასავლელებს ვეუბნებით, რომ რურუა პოლიტპატიმარია, გვეუბნებიან, არა, კრიმინალური ჯგუფის მეთაურია და ეს ჩვენთვის ზურგში ჩარტყმული დანააო. მელიაზეც აშშ-ის სენატში თუ სხვაგანაც გაისმა, რომ კაცმა გამომწვევად, საჯაროდ, უხეშად დაარღვია კანონმდებლობა და ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა.

აშშ-შიც ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე ამბობდა, რომ მელია უდანაშაულო არ არის. ლინკოლნ მიტჩელმა და სხვებმაც იგივე თქვეს, გვახსოვს გერმანიის ელჩის ტელევიზიით გამოსვლა, რომ უნდა გავუფრთხილდეთ პოლიტპატიმრის ცნებას. მართლაც ისტორიაში პირველად (ეს არის ქართული პროვინციული „ნოუ ჰაუ“) პოლიტპატიმარი დაარქვეს ადამიანს (მელიას ვგულისხმობ), რომელსაც შეუძლია, გადაიხადოს გირაო და ციხიდან გამოვიდეს, მაგრამ არ გამოდის. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, პოლიტპატიმარი ეწოდებინოთ ადამიანისთვის, რომელსაც შეეძლო გირაოს გადახდა და გამოსვლა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ახირებით ციხეში იჯდა. ნავალნის ზოგიერთი ორგანიზაცია არ ცნობს, მაგრამ პოლიტპატიმარია, რადგან, მან გირაო რომ გადაიხადოს, ვინმე გამოუშვებს? ყველა გზა მოსპობილი აქვს.

აქ კი ჩვენი სახელმწიფოებრიობის, კონსტიტუციის, ძირითადი კანონის, სუვერენიტეტის მასხრად აგდება ხდებოდა, როდესაც ოპოზიცია ამბობდა, არჩევნები გაყალბდაო. მთელი მსოფლიო აცხადებდა, არ არის გაყალბებულიო. დანიელსონი მხოლოდ სასამართლო ხელისუფლებისა და საარჩევნო კოდექსის რეფორმაზე საუბრობდა, არ ახსენა არც ე.წ. ყალბი პოლიტპატიმრები და არც არჩევნების საკითხი.

***– მერე მათ მიერ შემოთავაზებულ დოკუმენტში ხომ გაჩნდა ფორმულირება „პოლიტიკურად აღქმული საქმეები“?***

– ეს ყველაფერი შეცდომების შედეგია, რომლებიც დაუშვეს „ოცნების“ წარმომადგენლებმა. 2012 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, არაერთმა დიპლომატმა წყენით მითხრა: ამათ ურთიერთობა საერთოდ არ შეუძლიათ, ამათთან საუბარი და ურთიერთობა არ გამოდისო. თუმცა ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც მოვლენებს თვალყურს ვადევნებთ, შესანიშნავად ვიცით, რა აქვთ ჩადენილი სააკაშვილის თანამზრახველებსა და მათთან გაერთიანებულ ადამიანებს. ვიცით, რა აქვს ჩადენილი, ვთქვათ, დავით ბაქრაძეს (უბინძურესი პროვოკაცია), ბოკერიას, უგულავასა და სხვებს.

თუმცა მათ უცხოელებთან ლაპარაკი ეხერხებათ. რაც მთავარია, ნაცები უცხოელებს არა მხოლოდ კარგი ინგლისურით ელაპარაკებიან (და არა ქართული ასოებით დაწერილი ინგლისურით), არამედ ისეთი ფრაზეოლოგიით, ისეთი ცნებებით, რომლებიც უცხოელებს მოსწონთ. ეს დღემდე გრძელდება.

უცხოეთში „ოცნებას“ სხვა თვალით უყურებენ, სულ სხვა თვალით უყურებენ ე.წ. ოპოზიციას. უცხოეთში (ამერიკასა და ევროპაში) დამკვიდრდა აზრი, რომ საქართველოს მართლა მილიარდერი ოლიგარქი მართავს. ის ფარდის მიღმაა და მისი გუნდი მნიშვნელოვანს არაფერს აკეთებს ისე, რომ აზრი არ ჰკითხონ ან მან თვითონ არ უკარნახოს. ეს დასავლელებისთვის კატეგორიულად მიუღებელია. მათ ბევრად ურჩევნიათ, თუნდაც ავტორიტარული რეჟიმი იყოს, ოღონდ იცოდნენ, რომ სათავეში ისეთი ადამიანია, როგორიც სააკაშვილი იყო.

წინა წლებში ბიძინა ივანიშვილს ამერიკელებმა არაერთხელ შესთავაზეს, გახდი პრემიერ–მინისტრი (შენს ნებაზეა დამოკიდებული) და ჩვენ შენთან გვექნება ნაყოფიერი თანამშრომლობა, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმ ადამიანთან, რომელიც, ვიცით, რომ თვითონაა გადაწყვეტილების მიმღებიო.

***– ეგ წარსულში იყო. ახლა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ხომ საერთოდ წავიდა.***

– განწყობა ხომ დარჩა. სანამ რაღაც არსებითი არ მოხდება, მანამდე ივანიშვილმა ათჯერ რომ გამოაცხადოს, წავედიო, არ დაიჯერებენ. ამჯერად მართლა წავიდა. ისიც ვიცით, კვირიკაშვილსაც რომ არ ეკონტაქტებოდა, მერე თქვა, გამოვიდეს გიორგი და თქვას, მისთვის რამდენჯერ დამირეკავსო.

აქ ორ ფაქტორს გამოვყოფ – პირველი – „ოცნება“ დასავლეთთან ურთიერთობას აგებს ხოლმე მშრალი ანგარიშით ნაცებთან და ნაცების თანამზრახველებთან; მეორე – 9 წლის განმავლობაში დასავლეთში დამკვიდრდა აზრი, რომ ქვეყანას ფარულად მართავს ივანიშვილი, განურჩევლად იმისა, თქვა თუ არა, თანამდებობა აქვს თუ არა. ამ ორმა ფაქტორმა ბევრი რამ განაპირობა.

***– ახლა ნაცმოძრაობამ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა და ჯერ პარლამენტშიც არ შედის, მაგრამ ევროპა არ წუხს ამაზე, თუმცა შეთანხმების შესრულებას მოითხოვს.***

– ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა არაერთხელ აღნიშნა, ჩვენ კი არ გვინდოდა მედიატორობა და ფასილიტატორობა, თხოვნის გამო ვაკეთებთ ამას, აზრადაც არ მოგვივიდოდა, ჩავრეულიყავითო.

***– ვინ სთხოვა, ოპოზიციამ თუ პოზიციამ?***

– როგორც ვიცი, ამ საკითხს ოპოზიცია სვამდა – ნეიტრალურ მოედნებზე შეხვედრები თუ იქნება უცხოელების თანდასწრებით, მაშინ ვილაპარაკოთ და რაღაც შეთანხმების მიღწევა შეიძლებაო, მაგრამ ეს ჩემი კულუარული ინფორმაციაა და დოკუმენტურად ვერ ვამტკიცებ.

***– მელიას ხან უნდა, ევროკავშირმა გადაუხადოს გირაო, ხან ამბობს, ამ პარლამენტში შესვლა გამიჭირდებაო. პარლამენტში შესვლაზე უარს უცხოელები როგორ მიიღებენ?***

– შეთანხმების ხელმოწერიდან ორ დღეში კელი დეგნანმა თქვა, ყველაფერი გაკეთდა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, ახლა ბატონი მელია თუ მაინც დარჩება ციხეში, ვინაიდან მისი სურვილია, ციხეში იჯდეს, ეს უკვე მისი პირადი საქმეაო.

ვიოლა ფონკრამონმა, ცნობილმა და გავლენიანმა ევროპარლამენტარმა (როცა გავიცანი, ბუნდესტაგის პარლამენტარი იყო, 2010 წელს. 2013 წელს სააკაშვილმა ოფიციალურად პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა) თქვა: ორი ადამიანია, რომლებსაც უნდათ, ასეთი მდგომარეობა იყოს საქართველოში, რომლებსაც არ მოსწონთ ერთობა. ესენი არიან სააკაშვილი და პუტინიო. დასავლეთში ეს ესმით.

# „საპატრიარქოს სამხედრო მანქანები რეგიონებში პროდუქტების გასაგზავნად დასჭირდა“

## ანდრია ჯაღმაიძის განმარტება

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძის განმარტებით, სამხედრო მანქანები საპატრიარქოდან რეგიონებში პროდუქტების გასაგზავნად გამოიყენეს.

დეკანოზი ფოტოებს გამოეხმაურა, რომლებშიც ჩანს, რომ საპატრიარქოში სამხედრო მანქანები შედიან.

„ჟურნალისტები მწერენ, ვერტმფრენიც შენიშნეს და სამხედრო ძალის მობილიზება ხდება საპატრიარქოშიო. სინამდვილეში არავითარი საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობს. პატრიარქმა დახმარება გაუწია და გააგზავნა რეგიონებში პროდუქტები“, – წერს ჯაღმაიძე.



ამასთან, როგორც პატრიარქის დაცვის უფროსმა ვანო კობაიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, ვერტმფრენის გამოჩენა ტერიტორიაზე „უბრალოდ, დაემთხვაა“. მისივე თქმით, პირველი პროდუქცია ყაზბეგის მიმართულებით უნდა გაიგზავნოს, რის გამოც მაღალი გამავლობის ავტომანქანები გახდა საჭირო.

– პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღდგომას პატრიარქი უგზავნის გაჭირვებულებს პროდუქტებს: ფქვილს, შაქარს, ზეთსა და ამის მსგავსს. ამასთან დაკავშირებით ვთხოვეთ თავდაცვის სამინისტროს მანქანები, რომ ეპარქიაში ვუშვებთ პროდუქტებს, – აღნიშნა პატრიარქის დაცვის უფროსმა.

# „ქმარი შვილების თვალწინ მოკლა და გადააგდო“

## კასპში მოკლული ნოდარ ღუნაშვილის ცოლი ქეთი ჩხაიძე დააკავეს

კასპში მომხდარი მკვლელობის საქმეზე მოკლული ნოდარ ღუნაშვილის ცოლი დააკავეს.

ქეთი ჩხაიძე გუშინ, 28 აპრილს, დილით, თბილისში, საკუთარ სახლში დააკავეს და გლდანის პოლიციაში მოათავსეს.

გლდანის პოლიციიდან ის გორის წინასწარი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

– ქეთი ჩხაიძე დღეს დააკავეს დილით 375-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბრალდებით, რაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვასა და შეუტყობინებლობას გულისხმობს.

ქეთი ამ საქმეში იყო მოწმე. მან ჩვენებაში სიმართლე თქვა, როგორც იყო და რაც იყო, – განაცხადა ქეთი ჩხაიძის ადვოკატმა.

ქეთი ჩხაიძის დაკავების შესახებ შსს-მ ასეთი განცხადება გაავრცელა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კასპში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტის გამოძიების ფარგლებში, კიდევ ერთი პირი – 1990 წელს დაბადებული ქ.ჩ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვა ედება ბრალად.

დანაშაული 2-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამავე საქმეზე უკვე დაკავებულია 1991 წელს დაბადებული ზ.კ., რომელმაც მიმდინარე წლის 13 მარტს, კასპში, 1987 წელს დაბადებულ ნ.ღ.-ს, ანგარიშსწორების მიზნით, ცივი იარაღით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

საქმეზე გამოძიება განზრახ მკვლელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის ფაქტებზე სსკ-ს 108-ე და 375-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს“.



მოკლულის დედა, ხათუნა რაზმაძე, ამბობს, რომ მისი რძალი მკვლელობის უშუალო მონაწილეა.

ოჯახი დაკავებულის კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას ითხოვს. ღუნაშვილის ოჯახის ინფორმაციით, ქეთი ჩხაიძემ 33 წლის ქმარი მოკლა და გვამი გადამალა.

ნოდარ ღუნაშვილის ცხედარი კასპის სასაფლაოზე მწყემსმა 14 მარტს იპოვა. მას ყელი ჰქონდა გამოჭრილი. ფაქტზე ღუნაშვილის მეგობარი დააკავეს. რამდენიმე კვირის წინ ტვ პირველის შაბათის ეთერში მოკლულის ოჯახი ამბობდა, რომ მკვლელობაში მონაწილე პირებს შსს-ს მაღალჩინოსნები მფარველობენ. ოჯახი რძლის დაკავებას მოითხოვდა.

3 დღის წინ ღუნაშვილის მეუღლის სახლთან მამაკაცის ოჯახის წევრები მივიდნენ და საცხოვრებელს ქვები დაუშინეს.

ამ აქციის გამო დედამთილს რძალმა პოლიციაში უჩივლა.

ხათუნა რაზმაძე აღნიშნავს, რომ ქეთი ჩხაიძე არა დანაშაულის დაფარვის ბრალდებით, არამედ მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის უნდა დაისაჯოს.

მისი თქმით, 33 წლის კაცი ცოლმა შვილების თვალწინ მოკლა და გვამი გადამალა:

– რაღაცნაირად ის დიდი ტკივილი მომეშვა, რომ ამოსუნთქვის საშუალება მაინც მექნება, მაგრამ ეს ქალი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, განა მარტო იმიტომ, რომ ქმარი მოკლა, კიდევ იმიტომ, რომ საჩივარი შეიტანა ჩემს სახელზე, რომ თურმე სახლში მივუვარდი და შვილები შევუშინე. ქალმა, რომელმაც საკუთარი ქმარი შვილების თვალწინ მოკლა, ბავშვების მამა მოკლა და გადააგდო... მისი დაჭერა ჩემთვის დიდი შვებაა, მაგრამ ბოლომდე მივყვები საქმეს, არ დავიხევ უკან, სანამ სათანადოდ არ დაისჯება. უმაღლესი სასჯელით უნდა დაისაჯოს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ქეთი ჩხაიძეს 6 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# უცნობი და ვატო შაქარაშვილი ვახო სანაიაზე თავდამსხმელებს თავდებში უდგებიან



მომღერალი გია გაჩეჩილაძე, იგივე უცნობი და ვატო შაქარაშვილი ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდამსხმელებს თავდებში უდგებიან და მათ გათავისუფლებას ითხოვენ.

ამ თემაზე „აი იას“ დამფუძნებლებმა გუშინ, 28 აპრილს, ბრიფინგი გამართეს.

– საზოგადოება გაერთიანდა პოლიტმედია პატიმრების დასაცავად. სამი დღის წინ გამოქვეყნდა თავდებობის ელექტრონული დოკუმენტი და უკვე 2.000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი. ეს არის დიდი ბრძოლის ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ეს ბიჭები უნდა დავიცვათ პოლიტმედია ტერორისგან, – თქვა ვატო შაქარაშვილმა.

მისივე თქმით, დღეს, 29 აპრილს, ხელმოწერებით მივლენ საქალაქო სასამართლოსთან და ადვოკატები თავდებობის შუამდგომლობას დააყენებენ.

უცნობმა აღნიშნა, რომ გიორგი მუმლაძე, რომელიც „პოლიციელს კბენს“, გირაოთი გაათავისუფლეს და გაუგებარია, რა დააშავეს ვახო სანაიაზე თავდამსხმელებმა.

# საფრანგეთში ტერორიზმის ბრალდებით გია ქავთარაშვილი და ალაუდინ გაურგაშვილი დააკავეს

ალაუდინ გაურგაშვილი და გია ქავთარაშვილი – „კურიერისთვის“ ცნობილი ხდება იმ პირების ვინაობა, რომლებიც საფრანგეთში ტერორიზმთან სავარაუდო კავშირის გამო დააკავეს.

2 სპეცოპერაცია ერთმანეთის პარალელურად პარიზსა და ლიონში ჩატარდა. ადგილობრივი მედია წერს, რომ დაკავებულია ჯგუფი, რომელიც სავარაუდოდ ტერორისტებს აფინანსებდა. ორივე დაკავებულის დაბადების ადგილი დუისია.

„კურიერი“ დაკავებულის ოჯახის წევრებს ესაუბრა.

პანკისის ხეობაში ამბობენ, რომ მათ საქართველო რამდენიმე წლის წინ დატოვეს, საცხოვრებლად ჯერ გროზნოში გადავიდნენ, სადაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს და ამის შემდეგ საფრანგეთში წავიდნენ.

საფრანგეთში მათ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღეს და ლეგალური საქმიანობა დაიწყეს. საფრანგეთის სამართალდამცავები ამბობენ, რომ ორივე მათგანი სირიაში დიდი ფულის გადაგზავნას ცდილობდა, რის გამოც ისინი დააკავეს.

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.177 ფაქტი გამოავლინა



შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 177 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 102 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 923 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 152 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

# „უპრეცედენტო ტერორისტული აქტი“, რომლის მოწყობაში რუსეთის სპეცსამსახურებს ადანაშაულებენ



აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთს შორის დიპლომატიური კრიზისი უფრო და უფრო ღრმავდება. ჩეხეთი რამდენიმე ათეულ რუს დიპლომატს აძევებს. ჩეხები ითხოვენ, რომ რუსეთის საელჩოს შემადგენლობა მინიმუმამდე შემცირდეს. მათ მხარდაჭერას უცხადებენ სხვა ევროპული ქვეყნებიც და ანალოგიურად აგრძელებენ რუსი დიპლომატების პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას.

დიპლომატიური კრიზისი და ნამდვილი პოლიტიკური სკანდალი მას მერე განვითარდა, რაც პრაღამ რუსეთის სპეცსამსახურები ჩეხეთში, საბრძოლო მასალების საწყობის აფეთქების ორგანიზებაში დაადანაშაულა. ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრეი ბაბიშმა ამ ფაქტს „უპრეცედენტო ტერორისტული აქტი“ უწოდა. კრემლი ჩეხეთის ხელისუფლების ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს და საპასუხოდ თავად აძევებს ჩეხ დიპლომატებს რუსეთიდან. ამ ორ სახელმწიფოს შორის ასე დაძაბულ ურთიერთობას ექსპერტები ათწლეულების ყველაზე ღრმა კრიზისად აფასებენ.

საინტერესოა, რა ფაქტებზე დაყრდნობით ადანაშაულებენ ჩეხი სამართალდამცველები 2014 წელს მომხდარი ორი აფეთქების მოწყობაში რუსებს, ან რა ინტერესი უნდა ჰქონოდა კრემლს ჩეხეთის ერთ-ერთ სოფელში მდებარე კერძო კომპანიის საწყობთან. საქმე ისაა, რომ იმ დროისთვის ამ საწყობებში ბულგარელი ბიზნესმენის ემელიან გებრევის კომპანიის კუთვნილი შეიარაღება ინახებოდა. ჩეხი სამართალდამცველები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ვრბეტიცაში მომხდარი დივერსიული ოპერაციები სწორედ გებრევის ბიზნესგარიგებების ჩასაშლელად იყო გამიზნული. 2014 წელს, ერთთვიანი ინტერვალით, ვრბეტიცაში ორი აფეთქება მოხდა. პირველმა მათგანმა ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.



ისმის კითხვა – რატომ „ნადირობდნენ“ ГРУ-ს ოფიცრები გებრევზე და მის შეიარაღებაზე? როგორც ევროპული მედია წერს, ის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი იმპორტიორი იყო, რომლისგანაც შეიარაღებას რუსეთთან საბრძოლო მოქმედებების დროს უკრაინის ხელისუფლება ხშირად ყიდულობდა და, როგორც ახლა ირკვევა, კრემლი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ უკრაინა ამ მხრივაც დაესუსტებინა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩეხეთში მომხდარიდან მალევე, 2015 წლის 28 აპრილს, გებრევი მძიმე ინტოქსიკაციის ნიშნებით საავადმყოფოში მოხვდა. ის გარკვეული დროის განმავლობაში კომაში იყო, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. დაახლოებით იმავე პერიოდში ანალოგიური სიმპტომებით კლინიკაში დააწვინეს მისი ვაჟი და ასევე ბიზნესპარტნიორი კომპანია EMCO-დან. 2015 წელს ჰელსინკის უნივერსიტეტის ლაბორატორიამ იმ ნივთიერებების იდენტიფიცირება მოახდინა, რომელიც გებრევის ორგანიზმში აღმოაჩინეს. აღმოჩენილი კვალი მიანიშნებდა იმაზე, რომ გებრევის მოწამვლა ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით ცადეს, დაახლოებით ისეთით, როგორც ეს მოგვიანებით სერგეი სკრიპალის შემთხვევაში დაფიქსირდა. 2018 წელს კი „ნოვიჩოკის“ ამავე კლასის ნივთიერება სოლსბერიში, სკრიპალის სახლის სახელურზე აღმოაჩინეს. მას მერე, რაც სკრიპალები მოწამლეს და „ნოვიჩოკის“ გამოყენების შესახებ ცნობილი გახდა, ემელიან გებრევმა ბულგარეთის ხელისუფლებას მასზე თავდასხმის საქმის ხელახალი გამოძიების ჩატარების მოთხოვნით მიმართა და მისი მოთხოვნა დააკმაყოფილეს კიდეც. ბულგარეთის პროკურატურამ ჩატარებული გამოძიების შემდეგ რუსეთის 3 მოქალაქეს ემილიან გებრევის მკვლელობის მცდელობისთვის დაუსწრებლად წარუდგინა ბრალი.







როგორც გამომძიებელი ჟურნალისტები თვლიან და, სავარაუდოდ, ამ კვალზე მიდიან ჩეხი და ბულგარელი სამართალდამცველებიც, ჩეხეთში საბრძოლო შეიარაღების აფეთქება, ემელიან გებრევის მოწამვლა ერთი მასშტაბური ოპერაციის ნაწილი იყო, რომლის ავტორები ГРУ-ს ცნობილი დანაყოფი 29155-ია. მათი უმთავრესი მიზანი კი უკრაინის ხელისუფლებისთვის იარაღის მოწოდების შეჩერება გახდა. აღსანიშნავია, რომ ГРУ-ს ამავე დანაყოფს მოლდოვაში „დესტაბილიზაციის კამპანიის“ მოწყობასა და მონტენეგროში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის უკან ხედავენ.

გუშინ კი ბულგარეთის პროკურატურამ ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს 2011-200 წლებში ბულგარეთის ტერიტორიაზე იარაღის საწყობებში მომხდარი აფეთქებების ფაქტების გადამოწმება. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ შეიარაღების გაგზავნა უკრაინასა და საქართველოში იგეგმებოდა. ამ დროისთვის გამოძიება ამოწმებს, ჰქონდა თუ არა შემხებლობა ამ აფეთქებებთან რუსეთის კონკრეტულ 6 მოქალაქეს.

მართალია, რუსული პროპაგანდისტული მედია ჩეხეთის პრეზიდენტის „პრორუსული“ განცხადების ამოგლეჯილ ციტატას ავრცელებს და ჩეხი თუ ბულგარელი სამართალდამცველების დისკრედიტაციას ცდილობს, მაგრამ მილოშ ზემანმა იმ განცხადებაში შემდეგი სიტყვებიც თქვა – „ვიმედოვნებ, რომ სიმართლეს შევიტყობთ. გავარკვევთ, ეჭვი არის თუ არა დასაბუთებული და ამ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ვინარჩუნებ, რუსეთის ფედერაცია პასუხს აგებს შესაძლო ტერორისტული აქტის ჩადენის გამო“.

**მერაბ სხირტლაძე**

## ზელენსკი მზადაა, პუტინს ვატიკანში შეხვდეს



უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი დარწმუნებულია, რომ მას და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის ორმხრივი შეხვედრა გაიმართება და არ გამორიცხავს, რომ შეხვედრის ადგილი ვატიკანი გახდეს.

– შეხვედრა აუცილებლად შედგება. ის საჭიროა იმისთვის, რომ დონბასში ომი დასრულდეს, – აღნიშნა ზელენსკიმ.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ შეხვედრის ადგილი ვატიკანი გახდეს, ზელენსკიმ უპასუხა:

– დიახ, შესაძლებელია. ეს შეიძლება იყოს საუკეთესო ადგილი ყველა თვალსაზრისით. ვატიკანი ნამდვილად იდეალური ადგილია მშვიდობის შესახებ დიალოგისთვის.

კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ პუტინისა და ზელენსკის შეხვედრის შესახებ კიევისგან ოფიციალური შეთავაზება არც მოსკოვსა და არც ვატიკანს არ მიუღიათ.

– პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ ასეთი შეხვედრისთვის საუკეთესო ადგილი ვატიკანი იქნებოდა, თუმცა არც ვატიკანი და არც რუსეთი ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ ინფორმაციას არ ფლობენ. შეთავაზების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არ მიგვიღია, – აღნიშნა პესკოვმა.

ამასთან, კრემლის პრესსპიკერის განცხადებით, მისთვის უცნობია, შეხვდება თუ არა რუსეთის პრეზიდენტი უკრაინელ კოლეგას სხვაგან, გარდა მოსკოვისა.

– არ ვიცი, ის მზად არის თუ არა სადმე გამგზავრებისთვის. ჯერჯერობით ჩვენ ყველა გამოვდივართ იქიდან, რაც ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ჩვენ კონფლიქტის ნაწილი არ ვართ და, რადგან კონფლიქტის მხარე არ ვართ, არ არსებობს ჩვენთან დონბასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის საჭიროება. პუტინმა აღნიშნა, რომ თუკი ზელენსკის ორმხრივი ურთიერთობების განხილვა სურს, მზად არის, მოსკოვში ნებისმიერ დროს მიიღოს, – აღნიშნა პესკოვმა.

## აშშ-მ უკრაინას სამხედრო დახმარება გადასცა

აშშ-მ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს 7,8 მილიონი დოლარის სამხედრო დახმარება გადასცა.

ამის თაობაზე კიევში აშშ-ის საელჩო იტყობინება.

აშშ-მ უკრაინას ჰაერსაწინააღმდეგო და გემთსაწინააღმდეგო რაკეტები მიაწოდა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ხმელეთზე უკრაინამ რუსეთთან ერთგვარ პარიტეტს მიაღწია. სამაგიეროდ, ზღვასა და ჰაერში რუსეთი უპირატესობას ინარჩუნებს.

გარდა ამისა, მაისში უკრაინა 1 მილიონ დოზა ფაიზერის ვაქცინას მიიღებს.

## ჩეხეთის პრეზიდენტს ბრალად სამშობლოს ღალატი ედება



როგორც ცნობილია, ჩეხეთის პრეზიდენტმა ზემანმა ქვეყანაში მომხდარ აფეთქებებში რუსების მონაწილეობა ეჭვქვეშ დააყენა. ზემანმა მოსახლეობისადმი ტელემიმართვაში განაცხადა:

– არ არსებობს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ აფეთქება რუსეთის აგენტებმა მოაწყვეს.

ამან ჩეხები აღაშფოთა. სენატმაც ზემანი სამშობლოს ღალატში დაადანაშაულა. სენატორები პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვენ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაასმა ჩეხეთიდან რუსი დიპლომატების გაძევებას მხარი დაუჭირა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ეს აუცილებელი ნაბიჯი იყო.

– რუსები ჩეხეთის ტერიტორიაზე დივერსიების მოწყობაზე გადავიდნენ! ამას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მოითმენს, – განაცხადა მაასმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მამაკაცმა შემთხვევით თავისი ყოფილი ცოლი მოკლა



ამერიკის მენის შტატის ქალაქ ბაკსტონის მცხოვრებ მამაკაცს ავტომობილის დაყენების დროს სატერფულები აერია და შემთხვევით თავისი ყოფილი ცოლი მოკლა.

20 აპრილის დილით, 65 წლის სიუ ელენ რენდელი თავის ყოფილ მეუღლეს, 74 წლის ჯეფრი რენდელს მისი სახლის გვერდით ავტომობილის უკუსვლით დაყენებაში ეხმარებოდა.

მამაკაცს სატერფულები აერია და შეცდომით მუხრუჭის ნაცვლად ფეხი აქსელერატორს დააჭირა. შედეგად მანქანა სიუ ელენს დაეჯახა და ქალი დაიღუპა.

პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილ მეუღლეებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მომხდარის ყველა გარემოებას სწავლობენ, თუმცა თვლიან, რომ ქალი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

## ბებერმა გრიზლიმ ტურისტი დაასახიჩრა



ბებერი დათვი გრიზლი ამერიკის მონტანას შტატის ქალაქ უესტ-იელოუსტოუნის მახლობლად განლაგებულ ტურისტულ ბანაკში შეიჭრა და 40 წლის მამაკაცს თავს დაესხა.

თავდასხმა ხუთშაბათს, იმ დროს მოხდა, როდესაც მამაკაცი იქ მარტო იმყოფებოდა. მისი ვინაობა არ სახელდება. მამაკაცმა აღნიშნული ინციდენტის შედეგად სერიოზული დაზიანებები მიიღო, თუმცა მაინც მოახერხა პოლიციის გამოძახება. ის მძიმე მდგომარეობაში, თავის არეში მიყენებული დაზიანებებით, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შემთხვევის მეორე დღეს ადგილი შტატის პარკებისა და ბუნების დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა დაათვალიერეს. ამ დროს მათზე თავდასხმა ცადა ბებერმა გრიზლიმ. აგრესიული ცხოველი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული.

## განძის მაძიებელი წყვილს პაპის გადამალული ფულის პოვნაში დაეხმარა



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატში განძის მაძიებელი ოჯახურ წყვილს მათ სახლში იატაკში დამალული სეიფის პოვნაში დაეხმარა.

კონექტიკუტის შტატის მცხოვრები განძის მაძიებელი კიტ უილი ამ საქმეს ცხრა წელია მისდევს. ახლახან კი ის მასაჩუსეტსელმა წყვილმა დაიქირავა სეიფის მოსაძებნად, რომელიც ფულით იყო სავსე და რომელიც მათმა პაპამ, გავრცელებული ხმების თანახმად, სადღაც სახლში დამალა. მათ სურდათ, ის სახლის გაყიდვამდე ეპოვათ.

სახლის მფლობელები ეჭვობდნენ, რომ ფული საიზოლაციო მასალების ქვეშ იყო დამალული. ოჯახის სხვა წევრებმა ანალოგიურ გადამალულ განძს უკვე მიაგნეს საკუთარ სახლებში. მიზეზი, თუ რატომ მალავდა მათი პაპა ფულს, უცნობია.

უილის დაახლოებით ერთი საათი დასჭირდა დამალული განძის საპოვნელად. თავდაპირველად მან იატაკში ის ადგილები დაათვალიერა, რომელიც მანამდე იყო გახსნილი. ლითონმაძიებელი ხელსაწყოს სიგნალმა აჩვენა, რომ განძი შესაძლოა სხვენის კუთხეში იყო დამალული.

მან ვიდეოკამერიანი ენდოსკოპი გამოიყენა ნაპრალის გამოსაკვლევად.

– მეორე თუ მესამე ნაპრალში რაღაც უცნაური შევნიშნე. იქ იყო ციფრები და ასოები. როდესაც ის უფრო გულდასმით შევათვალიერე, აღმოჩნდა, რომ ის სეიფის საკეტი იყო, – განაცხადა განძის მაძიებელმა.

სეიფი ხეში ჩასმული აღმოჩნდა და იმაზე მძიმე, ვიდრე გარეგნულად ჩანდა. მასში 1934, 1935 და 1950 წლებით დათარიღებული 500-დოლარიანი კუპიურები აღმოჩნდა. ფულის შეკვრებზე დარტყმული იყო შტამპი თარიღით 19 დეკემბერი 1958 წელი.

– 1958 წელს 46 ათასი დოლარის მსყიდველობითი უნარი 421,6 ათასი დოლარის ეკვივალენტური იყო, – აღნიშნა განძის მაძიებელმა.

მან ამ შემთხვევას ყველაზე საინტერესო უწოდა თავის კარიერაში. ოჯახურ წყვილს კი ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რაში გამოიყენებს ამ სიმდიდრეს.

## დათვი მთებში მიმავალ ველოსიპედისტს გამოეკიდა



ამერიკულმა კომპანიამ, რომელიც ტურისტებისთვის განკუთვნილი საქონლით ვაჭრობს, გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც გადაღებულია ველოსიპედისტს დადევნებული შავი დათვი.

აღნიშნული ინციდენტი ამერიკის მონტანას შტატის ქალაქ უაიტფიშის რაიონში მოხდა. ვიდეორგოლში ჩანს, რომ მთებში მიმავალ გზაზე მამაკაცი ველოსიპედით გადაადგილდება. დათვი ფერდობზე დაეშვება და მისკენ მირბის, მაგრამ როდესაც ცხოველი გზამდე მიაღწევს, ველოსიპედისტი იმ ადგილს უკვე გაივლის. თუმცა ცხოველი არ ჩერდება და მამაკაცს გაეკიდება.

ხეების გამო არ ჩანს, რითი დასრულდა ეს დევნა. თუმცა კომპანიაში ამტკიცებენ, რომ არც მტაცებელი ცხოველი და არც ველოსიპედისტი არ დაშავებულან.

– მოკლედ შეგახსენებთ, რომ მონტანა დისნეილენდი არ გეგონოთ, – წერია ვიდეორგოლისთვის კომპანიის მიერ თანდართულ კომენტარში.

## ქალი საკუთარ ეზოში მაიმუნს გადაეყარა და საავადმყოფოში ამოყო თავი



ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ მერტლ-ბიჩის 74 წლის მცხოვრებ ქალს მისსავე სახლის ეზოში მაიმუნი დაესხა თავს.

აღნიშნული ინციდენტი ოთხშაბათს, 21 აპრილს მოხდა. დაზარალებული შირლი სმატერსის თქმით, მოულოდნელად მისმა ძაღლმა ყეფა ატეხა. ქალი იმის სანახავად გავიდა, გაეგო, რა ხდებოდა და მოულოდნელად პირისპირ შეეჩეხა უზარმაზარ მაიმუნს, რომელიც მის ეზოში შეჭრილიყო და ვერანდის მოაჯირზე იყო შემოსკუპებული.

– ის შეშლი თვალებით მიყურებდა და კბილები ჰქონდა დაკრეჭილი, – იხსენებს პენსიონერი. წამის შემდეგ ცხოველი ქალს თავს დაესხა და დაკბინა. შედეგად სმატერსი საავადმყოფოში აღმოჩნდა, სადაც მას ჭრილობები დაუმუშავეს და ცოფის საწინააღმდეგო ნემსები დაუნიშნეს.

ქალის მკურნალობა საკმაოდ ძვირი დაჯდა და ახლა ის ცდილობს კომპენსაცია მიიღოს „ტაიგერსის" საფარი-პარკის ადმინისტრაციისგან, რომელიც მისი სახლის მახლობლად მდებარეობს. სმატერსი დარწმუნებულია, რომ მაიმუნი სწორედ იქიდან იყო გამოქცეული. მისი თქმით, ის დიდი ხანია შეეგუა იქ დაბინავებული ლომებისა და ვეფხვების ღრიალს, მაგრამ სრულიად არ მოელოდა, რომ საკუთარ ეზოში უზარმაზარ მაიმუნს გადააწყდებოდა.

თავის მხრივ საფარი-პარკის დირექტორი ბხაგავან ენტლი ამტკიცებს, რომ არც ერთი მაიმუნი მათი დაწესებულებიდან არ გაქცეულა და ყველა მათგანი დღე და ღამ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და პირველად ესმის ამ ინციდენტის შესახებ.

თუმცა პოლიციის ოფიცერთან საუბარში საფარი-პარკის მფლობელმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი მაიმუნი მართლაც გაიქცა და ის დაწესებულების თანამშრომლებმა ქალაქში დაიჭირეს.

## მასტერი: „ნუ შეადარებთ ქართველ რეპერს ამერიკაში დაბადებულ ჰიპ-ჰოპ შემსრულებლებს"



რეპერი მასტერი, გიორგი პავლიაშვილი, ქართველ საზოგადოებას სთხოვს, ნუ შეადარებენ ქართველ რეპერს ამერიკაში დაბადებულ ჰიპ-ჰოპ შემსრულებლებს:

– ყოველთვის მინდოდა ამის თქმა და ვერ ვუძებნიდი ფორმას, ისე მეთქვა, რომ ამ თემაზე ცინიზმი არ მიმელო ან არ გამეღიზიანებინა ვინმე, მაგრამ, მოდი, ვიტყვი პირდაპირ, მაინც როგორც გინდათ, ისე გაიგებთ...

ნუ შეადარებთ ქართველ რეპერს ამერიკაში დაბადებულ ჰიპ-ჰოპ შემსრულებლებს, უბრალოდ, ალოგიკურობაა. ხშირად დაუკნინებიათ ქართველი შემსრულებელი და შედარების დროს უთქვამთ: „ესეც რეპერია და სნუპ დოგიც?", „აუ, სად ეს და სად ემინემი" და ასე შემდეგ...

ქართველ და უცხოელ ფეხბურთელზე რომ აიღოთ მსგავსი შედარება, იქ კიდევ შეიძლება იყოს ლოგიკა, რადგან ფეხბურთს ენა არ სჭირდება და სამტრედიაში გაზრდილი ბიჭი შეიძლება მოხვდეს მილანში და ითამაშოს დიდი ფეხბურთი, მაგრამ რეპი არის სათქმელი და ჩვენ ამ სათქმელს ვამბობთ ქართულ ენაზე, ამ ენაზე მაქსიმუმ საუბრობს 4-5 მილიონი ადამიანი და ინგლისურად – 983 მილიონი, ამას პლუს იმხელა მასშტაბებზე გადიან იქაური არტისტები, რომ შეიძლება საერთოდ არ გესმოდეს ის ინგლისური, მაგრამ პოპულარიზაციით მაინც მოაღწიოს ჩვენნაირ ქვეყნებამდე, მაგრამ პირიქით – ფიზიკურად ვერ მოხდება...

1994 წელს რომ ამერიკელი რეპერები მუშაობდნენ სტუდიებში, ჯერ ისეთ სტუდიებში 2021 წელსაც ვერ შევედი, თანხების გამომუშავებაზე ხომ არც არავინ ვსაუბრობთ...

დამიჯერეთ, ბევრი ამერიკელი რეპერი რომ ჩააგდო ამ პირობებში, მარტო კაცი ვერ შეძლებს მუსიკის დაწერას, ჩაწერას – სტუდიაში მიქსინგს, შემდეგ კლიპის სცენარის მოფიქრებას, კლიპის გადაღების ორგანიზებასა და ამის ვიდეომონტაჟს.

ფიზიკურად ვერ შეადარებ ამ ორ სხვადასხვა პოლუსს და ეს მხოლოდ სამწუხაროა. ჩვენ ვერც კი ვუთმობთ ჩვენს სრულ დროს ამ საქმიანობას, ეს კი არტისტს ძალიან ფიტავს – როცა სხვა საქმიანობის შეთავსება გიწევს მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ასევე, მათ ვიდეოკლიპებს რომ უყურებთ, დახვეწილად რომ გესმით მათი ტრეკები, ყველაზე ტრენდულად რომ იცვამენ და ბრწყინავენ, ამ არტისტებზე უამრავი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი მუშაობს და ზრუნავს მაშინაც კი, როცა მათ, უბრალოდ, სძინავთ...

ის სხვა განზომილებაა. ჯეი ზის საკონცერტო ტურს დაესწრო 2.4 მილიონი ადამიანი, თავად ჯეი ზის მუსიკალური საქმიანობიდან შემოსავალი 320 მილიონი დოლარია (1$=3.44ლ). ცხოვრება ისე გავა, რომ ჩვენ მხოლოდ თუ დაგვესიზმრება ეს ყველაფერი და ყოველთვის, როცა ჩვენი სიმღერის მერე რადიოში მათი ტრეკი ჩაირთვება, ვიგრძნობთ განსხვავებას და ეს განსხვავება უმეტესწილად არ არის ნიჭზე დამოკიდებული, განსხვავება არის გალაქტიკაში, როგორც დედამიწა და რომელიღაც იქს პლანეტა...

ხელოვანისთვის ეს არაა მარტივი გასააზრებელი, გულდასაწყვეტიც კია, მაგრამ, მეორე მხრივ, მე ვგრძნობ ჩემს მისიას, რომ მერქვას ქართველი რეპერი და ვცხოვრობდე საქართველოში, მეტ ადამიანს ვაცნობდე ამ კულტურას და, უბრალოდ, ვაკეთო ის, რაც ყველაზე ძალიან მიყვარს! საქმის სიყვარულით კი ნამდვილად შევედრები ნებისმიერ უცხოელ ვარსკვლავს, იმავენაირად შეიძლება უყვარდეს თავისი საქმე ქართველ არტისტსაც და, დამიჯერეთ, ცოტა ხნით რომ შეიძლებოდეს ადგილების შეცვლა, ვინ ვისზე მეტ ნიჭს გამოავლენდა, ეგ არავინ იცის.

გულწრფელი ვარ და, იმედი მაქვს, თქვენც სწორად გამიგებთ, რას ვამბობ და არ წახვალთ რადიკალიზმში. მადლობა, რომ მისმენთ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ავტოსერვისში საბურავების შესაცვლელად მისულმა ქალმა ჯეკპოტი მოხსნა



ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ ოლეიტეს მცხოვრებმა ადრე მიაკითხა ავტოსერვისს მანქანისთვის საბურავების შესაცვლელად და ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

მიკა ლიუისის თქმით, ის მეტისმეტად ადრე მივიდა ავტოსერვისში საბურავების შესაცვლელად. დროის გასაყვანად კი მან გადაწყვიტა, იქვე მდებარე მაღაზიაში შესულიყო და მომენტალური ლატარიის რამდენიმე ბილეთი ეყიდა.

მის მიერ შეძენილი ბილეთებიდან ერთ-ერთმა ქალს 10 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– სანამ ავტოსერვისის მოსაცდელ ოთახში ვიჯექი, ბილეთზე დამცავი ფენა გადავფხიკე. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ბილეთი არასწორად მეჭირა. შეუძლებელია, რომ მე ასეთი თანხა მომეგო. თუმცა შემდეგ რამდენჯერმე გადავამოწმე და თანდათან მივხვდი, რომ მართლაც სოლიდური თანხა მოვიგე, – განაცხადა ქალმა.

ლიუისის თქმით, მოგებული თანხის ნაწილით ოჯახთან ერთად ფლორიდაში დასვენებას აპირებს, ხოლო დანარჩენ თანხას სამომავლოდ გადადებს.

## მამაკაცი 15 წელი სამსახურში არ დადიოდა და გაცდენების რეკორდი დაამყარა



იტალიის საავადმყოფოს თანამშრომელი 15 წელი სამსახურში არ დადიოდა და შედეგად გაცდენების რეკორდი დაამყარა.

როგორც ცნობილი გახდა, იტალიის ფინანსურმა გვარდიამ კალაბრიას ოლქის ქალაქ კატანძაროს სამსახურში მასობრივი ფიქტიურად გაფორმების რამდენიმე შემთხვევა გამოავლინა. ერთ-ერთი ასეთი თანამშრომელი 2005 წლიდან სახანძრო უსაფრთხოების დაცვის სამმართველოს თანამშრომლად იყო გაფორმებული, თუმცა მას შემდეგ სამსახურში ერთი დღეც კი არ გაუტარებია.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ამტკიცებს, რომ 67 წლის მამაკაცმა, რომელიც სამსახურს 15 წელი აცდენდა, რეკორდი დაამყარა. გარდა ამისა, მთელი ამ დროის განმავლობაში მან 500 ათასი ევრო გამოიმუშავა.

გამოძიების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ იმ სამმართველოს ხელმძღვანელობას, რომელშიც გამცდენი თანამშრომელი ირიცხებოდა, აშინებდნენ, რომ მათ მის წინააღმდეგ დისციპლინარული სასჯელი არ გამოეყენებინათ. მაგალითად, საავადმყოფოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა გამომძიებლებს უამბო, რომ 2005 წელს „მეტად ცნობილი ადამიანი" მივიდა ოფისში და, თუ სამმართველოს ხელმძღვანელი ფიქტიურ თანამშრომელზე საქმეს მსვლელობას მისცემდა, მას ოჯახისთვის პრობლემების შექმნით დაემუქრა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შერმადინი ესპანეთში საუკეთესო კალათბურთელობისთვის იბრძვის



ესპანეთის ჩემპიონატის, ენდესა ლიგის სეზონის მვპ-ის გამოკითხვა დაიწყო. პირინეული მედია წერს, რომ ფავორიტი სამია: გიორგი შერმადინი (ტენერიფე), ედი ტავარესი (რეალი) და ნიკოლა მიროტიჩი (ბარსელონა).

შერმადინი მიმდინარე სეზონში 13-ჯერ გახდა მატჩის საუკეთესო მოთამაშე, რაც ყველაზე მეტია ლიგაში. ქართველი ცენტრი სამ-სამჯერ იქნა დასახელებული ტურის MVP-დ და თვის საუკეთესო კალათბურთელად – ოქტომბერში, იანვარსა და მარტში. საერთო სარგებლიანობის ინდექსით, რითაც მატჩის საუკეთესო მოთამაშეს ავლენენ, შერმადინი ლიგაში პირველ ადგილზეა.

გამოკითხულთა შორის არიან საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელებიც – თად მაკფადენი და კონერ ფრენკამპი.

გულშემატკივრებს შეუძლიათ, თავიანთ რჩეულს ხმა ტვიტერზე, ინსტაგრამსა და ლიგის აპლიკაციაზე მისცენ. ტიტულის მისაღებად კანდიდატმა ჯამში 4 მთავარ სექტორში უნდა გაიმარჯვოს – ფანებში, ჟურნალისტებში, კალათბურთელებსა და მწვრთნელებში. თითოეულ სექტორს ხმების 25% ეკუთვნის. საბოლოოდ ჟიური 2020-21 წლების სეზონის მვპ-ს დაასახელებს და სეზონის სიმბოლურ ხუთეულსაც გამოაცხადებს.

ნცაას სეტო ჰოლის ლიდერი სანდრო მამუკელაშვილი 2020-21 წლების სეზონის კიდევ ერთი ტიტულის მფლობელი გახდა – მას ლეიტენანტ ჯეი ჰაგერტის პრიზი გადაეცა, რომელიც 1934 წლიდან ნიუ იორკის მეტროპოლიის წლის საუკეთესო კალათბურთელს ერგება.

სხვათა შორის, 1979 წელს ეს ტიტული ბერძნული კალათბურთის ლეგენდა ნიკოს გალისმა მოიპოვა, რომელიც ასევე სეტონ ჰოლის კალათბურთელი იყო, ხოლო 1999 წელს ეს პრიზი ნბა-ში კიდევ ერთმა ცნობილმა კალათბურთელმა რონ არტესტმა მოიგო.

# რეალი და ჩელსი გამარჯვებულს ლონდონში გაარკვევენ



**რეალი-ჩელსი 1:1**

**მადრიდი. დი სტეფანო**

0:1 პულიშიჩი (14), 1:1 ბენზემა (29)

**რეალი:** კურტუა, მილიტაო, ვარანი, ფერნანდესი, კარვახალი (ოდრიოსილა 77), მოდრიჩი, კაზემირო, კროოსი, მარსელო (ასენსიო 77), ბენზემა (როდრიგო 90), ვინისიუსი (აზარი 66)

**ჩელსი:** მენდი, კრისტენსენი, ტიაგო სილვა, რუდიგერი, ასპილიკუეტა (ჯეიმსი 66), კანტე, ჟორჟინიო, ჩილველი, მოუნთი, პულიშიჩი (ზიეჩი 66), ვერნერი (ჰავერცი 66)

პირველმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მაგრამ რომელიმე გუნდს დიდი უპირატესობა მისცაო, ვერ ვიტყვით. სტუმრად ნათამაშები გოლიანის ფრეს შემდეგ თითქოს ლონდონელებს ეს უპირატესობა აქვთ. თუმცა მეტოქედ რეალია, როგორ ცუდ ფორმაშიც არ უნდა იყოს, მაინც რეალი.

ვინმე თუ მოელოდა, რომ ძალიან სანახაობრივი მატჩი იქნებოდა, ცდებოდა. ორივე გუნდის სათამაშო სტილი უფრო რაციონალურია და სანახაობაზე დიდად არ იკლავენ თავს.

ზუსტად ასეთი იყო ამ მატჩის მეორე ტაიმი, როდესაც ორივე გუნდმა საერთო ჯამში ბედის გადაწყვეტა საპასუხო მატჩს მიანდო.

პირველ ტაიმში იყო გასახსენებელი. თავიდან ლონდონელებმა ძალიან აქტიურად დაიწყეს, რამდენიმე ხიფათიც შექმნეს ტიბო კურტუას კართან და ერთ-ერთი მათგანი გოლადაც აქციეს. ჩელსი წინ პულიშიჩმა გაიყვანა.

სადღაც ტაიმის შუაში რეალი გამოფხიზლდა, ბურთის კონტროლსაც მოუმატა. თუმცა, რომ არ ჰყოლოდა ქარიმ ბენზემა, შესაძლოა, უგოლოდაც დაეტოვებინა მოედანი. ფრანგმა ჯერ ძელს გაარტყა ბურთი, შემდეგ კი ლონდონელთა საჯარიმოში ეფექტურად ითამაშა და ლამაზი გოლი გაიტანა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ნგოლო კანტე**

კანტემ ჩინებული მატჩი ჩაატარა. იყო ყველგან, სადაც მის გუნდს სჭირდებოდა. ხშირად ისეთ ადგილზე აღმოჩნდებოდა, სადაც არავინ ელოდა. არ აქვს მნიშვნელობა, საქმე დაცვას ეხებოდა თუ თავდასხმას. ხშირად შედიოდა ორთაბრძოლებში და დიდწილად იმარჯვებდა კიდეც.

**ზინედინ ზიდანი:**

– დასაწყისში ჩემი ფეხბურთელები დაბნეულად გამოიყურებოდნენ. მეტოქემ ამით ისარგებლა და გოლიც გაიტანა. მნიშვნელოვანი იყო, რომ გათანაბრება პირველ ტაიმშივე მოვახერხეთ. მეორე ტაიმში კი მეტოქეს ვჯობდით, მაგრამ ვეღარ გავიტანეთ. ვთვლი, რომ შედეგი ლოგიკური და სამართლიანი იყო. ჩელსის სწრაფი ფეხბურთელები ჰყავს და კონტრშეტევაზეც კარგად გადმოდიოდნენ. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმში შეიმჩნეოდა. სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ მიმდინარე სეზონში სტუმრად კარგად ვთამაშობთ და, აქედან გამომდინარე, მომდევნო ეტაპზე ანუ ფინალში გასვლის შანსიც არ დაგვიკარგავს. თუმცა ეს ძალზე რთული იქნება. ტუხელს კარგი გუნდი ჰყავს და ნახევარფინალშიც შემთხვევით არ გასულა.

**ტომას ტუხელი:**

– მოგვიანებით გაირკვა, რომ მატჩის მოგებასაც ვიმსახურებდით. დავწინაურდით და შემდეგაც მოედანზე სიტუაციას ვაკონტროლებდით. რეალმა გაგვითანაბრა და ამის შემდეგ მომენტი აღარ ჰქონიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შანსი არ მივეცით. გატანილი გოლის გარდა, მინიმუმ ერთი კიდევ უნდა შეგვეგდო, მაგრამ ეს ფეხბურთია. ვერ გაიტან, აქეთ მიიღებ. მეტოქემაც იმ მცირე შანსით ისარგებლა, რაც მივეცით. ამიტომაც შედეგით ოდნავ იმედგაცრუებული ვარ. შეიძლება თამამად ვთქვა, რომ გოლი არაფრისგან გავუშვით, რაც რეალში მყოფი რამდენიმე ფეხბურთელის ინდივიდუალური ოსტატობის დამსახურებაა. მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ, რა გაეწყობა, ამ ეტაპზე ფრეს უნდა შევეგუოთ.

საპასუხო მატჩი 5 მაისს ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართება.

# ქუთაისმა თასი ბოლო წამზე ჩაიბარა

**ქუთაისი-ოლიმპი 83:81**

**(15:22, 28:18, 25:22, 15:19)**



საკალათბურთო კლუბი ქუთაისი საქართველოს თასის მფლობელია. ოთხთა ფინალის დასკვნით მატჩში კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა იმერულმა კლუბმა დაძაბულ, სანახაობრივ ბრძოლაში 83:81 დაამარცხა ოლიმპი და ქვეყნის თასი არსებობის ისტორიაში მეოთხედ მოიგო.

ტიტულის ბედი ერთმა სროლამ გადაწყვიტა. თამაშისთვის განკუთვნილი დრო ამოწურული იყო და ტაბლოზე ფრე – 81:81 ფიქსირდებოდა, როდესაც ქუთაისელთა პორტუგალიელი ფორვარდის, ჟოელ ალმეიდას ნასროლი ოლიმპელთა კალათში ჩაეშვა. ალმეიდამ თანაგუნდელის, დეჟუან რაითის აცილებული მოხსნა და საფინალო დროის ამოწურვამდე სროლა მოასწრო. საშუალო მანძილიდან, მაგრამ მახვილი კუთხიდან ნასროლი ბურთი კალათში ჩაეშვა. მსაჯმა ბურთის წესების დაცვით ჩაგდება დააფიქსირა, მოედანზე სიხარულისგან აჟიტირებული ქუთაისელები გამოცვივდნენ...

არა მხოლოდ გამარჯვების ბურთის გამო – ჟოელ ალმეიდა დამსახურებულად გახდა მატჩისა და, შესაბამისად, თასის გათამაშების საუკეთესო მოთამაშე. პორტუგალიელს მვპ-ის ტიტული მატჩის შემდეგ გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა გადასცა. საუკეთესო მოთამაშისთვის 1.000-ლარიანი პრიზი საქართველოს კალათბურთის მოთამაშეთა ასოციაციამ დააწესა, რომელიც ქუთაისელთა ლეგიონერს ასოციაციის თავმჯდომარე ლაშა გამყრელიძემ გადასცა.

ქუთაისელი კალათბურთელები, მწვრთნელები და გუნდის სხვა წევრები საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა ვლადიმერ ბოისამ სპეციალური მედლებით დააჯილდოვა. ქუთაისელთა იუბილარ კაპიტანს, გიორგი ბარბაქაძეს, რომელიც ფინალის დღეს 32 წლის გახდა, საქართველოს თასი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა გადასცა.

სატიტულო მატჩი ისეთი გამოდგა, ფინალს რომ შეეფერება. ძალიან დაძაბული, თანაბარი, ემოციებით გაჯერებული. ოლიმპს სადავო გდებისას ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, დევანტე ფოსტერი დაუშავდა, რომელსაც ექიმებმა დახმარება აღმოუჩინეს და მოედანზე მეორე ნახევარში დაბრუნდა. დანაკლისის მიუხედავად, დავით როგავას გაწვრთნილმა ოლიმპელებმა შესანიშნავად ჩაატარეს პირველი პერიოდი, რომელიც 22:15 მოიგეს, თუმცა მეორე ათწუთეულში ქუთაისელებმა შეძლეს თამაშის გამოსწორება და ანგარიშიც გაათანაბრეს. ეს ჟოელ ალმეიდას, ლევან გრძელიძისა და გიორგი ბარბაქაძის შორი სროლების წყალობით მოხდა, რის შემდეგაც თანაბარი თამაში გაგრძელდა.

დიდი შესვენებისთვის უკვე ქუთაისელები იგებდნენ – 43:40. განახლებისთანავე იმერული კლუბი 52:42 გაიქცა და, თითქოს უკვე მეტოქე უნდა გაეტეხა, რომ ოლიმპი გამოფხიზლდა, ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი ოლიმპელთა ცენტრ დონოვან სმიტის შედეგიანობამ შედეგი გამოიღო. ოლიმპელები დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ლიდერი ხშირად იცვლებოდა, თანაბარი ანგარიშიც არაერთხელ დაფიქსირდა და ბოლო წუთზეც თანაბრობა იყო.

ოლიმპს მოგების კარგი შანსი ჰქონდა, რადგან 81:81-ზე შეტევის უფლებას ფლობდა და ახალგაზრდა ლევან ქვარცხავამ შორი 2-ქულიანი არაზუსტად ესროლა. ქუთაისელებს შესატევად 15 წამი დარჩათ და გადამწყვეტი სროლა საკუთარ თავზე დეჟუან რაითმა აიღო, რომელმაც საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე 2-ქულიანი ესროლა, ბურთი ოლიმპელთა კალათს ოდნავ შეეხო და ყველაფერი დამატებითი დროსკენ მიდიოდა, მაგრამ ალმეიდამ ბურთი მოიხელთა, მყისიერად ესროლა და......

## შედეგები

**27 აპრილი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

რეალი-ჩელსი .................................. 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრენტფორდი-როტერჰემი ............ 1:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-კილი ......................... 1:1

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-ვირტუსი ........................... 1:1

ემპოლი-კიევო .................................. 2:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფარენსე-პორტიმორენშე ............... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ადმირა ............................ 0:0

სტ.პოლენი-რიდი ........................... 0:0

ჰარტბერგი-ალტახი ........................ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ჰატაი-გენჩლერი ............................. 3:1

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# საქართველოს ნაკრები შესარჩევ ციკლს ბათუმში დახურავს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ჩვენი ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო გუნდი 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მომდევნო სამ საშინაო მატჩს ბათუმში გამართავს.

საკვალიფიკაციო ციკლის მომდევნო მატჩები კი შემოდგომაზეა დაგეგმილი: საქართველოს ნაკრები 2 სექტემბერს კოსოვოს უმასპინძლებს, 9 ოქტომბერს – საბერძნეთს, ხოლო 11 ნოემბერს – შვედეთს.

გეტყვით იმასაც, რომ შემოდგომამდე ვილი სანიოლის გუნდი ორ ამხანაგურ შეხვედრას სტუმრად ჩაატარებს: 2 ივნისს ქალაქ პლოეშტის სტადიონზე რუმინეთს ესტუმრება, ხოლო 8 ივნისს ენსხედეში ნიდერლანდების ნაკრებს გაეჯიბრება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უკვე 3 მატჩი აქვს ჩატარებული და B ჯგუფში ერთი ქულით ბოლოსწინა, მე-4 ადგილზეა. განვლილი სანაკრებო ფანჯრის დროს ქართველმა ფეხბურთელებმა წააგეს შვედეთთან (0:1) და ესპანეთთან (1:2), საბერძნეთთან კი ფრედ (1:1) ითამაშეს.

# შოტლანდია საქართველოს შესუსტებული ესტუმრება

ძლიერ გუნდებთან თამაშით არცთუ განებივრებულ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ზაფხულში კიდევ ერთხელ ეწვევა ტიერ 1-ის გუნდი და ეს ისევ შოტლანდია იქნება.

„ბორჯღალოსნებისა" და „ნარშავების" მატჩი 17 ივლისს გაიმართება. ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა და შოტლანდიის რაგბის კავშირის ვებგვერდზეც დევს.

„ბორჯღალოსნებს" შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ხუთჯერ უთამაშიათ. პირველ ჯერზე გუნდები ერთმანეთს ახალ ზელანდიაში, 2011 წლის მსოფლიო თასზე გადაეყარნენ. საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს ლელო არ გაატანინა, თუმცა შოტლანდიამ გამარჯვება ჯარიმების წყალობით მოიპოვა. ჯერჯერობით ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ტიერ 1-ის გუნდთან ლელო ხელუხლებლად შევინახეთ.

2016 წლის ნოემბერში სქოთებმა კილმარნოკში შემოდგომის ტესტმატჩში გვიმასპინძლეს და 43:16 იმარჯვეს, მაგრამ „ბორჯღალოსნებთან" თამაში ისე მოეწონათ, რომ თბილისში სტუმრობა მაშინვე დააანონსეს.

2019 წლის მსოფლიო თასის წინ შოტლანდიამ სიტყვა შეასრულა და გახდა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი გუნდი, რომელიც საქართველოს ტიერ 1-ის ქვეყნების ნაკრებებიდან ესტუმრა. მატჩი „დინამო არენაზე" 31 აგვისტოს გაიმართა და გულშემატკივარმაც უმაღლესი დონის შემსრულებლების ცოცხლად ხილვით ისიამოვნა. თამაში კი სტუმრებმა 44:10 მოიგეს.

ერთი კვირის თავზე შოტლანდიას უკვე ედინბურგში, „მარიფილდზე" შევხვდით. „ბორჯღალოსნების" თამაშის ხარისხი თბილისურზე უკეთესი იყო, მაგრამ ობიექტურად ძლიერმა მეტოქემ მეოთხედაც გაიმარჯვა – 36:9.

შოტლანდიამ გასახურებლად შარშანდელ „შემოდგომის ერთა თასამდე" ტესტმატჩის გასამართად „მარიფილდზე" მიგვიწვია და მასპინძლებმა 48:7 იმარჯვეს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 3. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. რძის პროდუქტი; 6. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 9. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 10. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც მეხუთე საუკუნეში გაძარცვა და სასტიკად დაარბია რომი; 11. საეკლესიო წესით ქორწინება; 14. ცნობილი იაპონელი მევიოლინე ქალი; 16. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 18. ლატვიის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 1. შენობის სახურავად გამოყენებული ნაპობი თხელი ფიცარი ძველად საქართველოში; 4. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. ბელგიური ავიაკომპანია; 8. სპეციფიკური, მძაფრი გემოს მქონე მწვანილი; 12. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. დენის ძალის საზომი ერთეული ფიზიკაში; 15. მეფის განსაკუთრებული მნიშვნელობის ბრძანებულება; 17. შიშველი სხეულის გამოსახულება სახვით ხელოვნებაში; 19. სახელმწიფო კავკასიაში; 20. ღვინის სასმისი; 21. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სინაგოგა; 2. ალუბალი; 3. აორტა; 4. კაშხალი; 5. ბრავადა; 10. მასანდრა; 11. ვაშინგტონი; 12. ესკადრა; 15. ამაშუკელი; 16. ბაიერი; 17. უიარაღო; 20. პონტო.

**თარაზულად:** 6. ცივილისტიკა; 7. კაბერნე; 8. არაბიკა; 9. ქორალი; 13. ყავა; 14. კახასა; 18. კალვადოსი; 19. პირსი; 21. ჭონია; 22. რიბოკი; 23. ჩოჩიშვილი; 24. ბეისბოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხულა; 2. ეპოსი; 3. მღილი; 5. ბალეტი; 6. ნუვორიში; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. მარასკინი; 14. კიი; 16. თუშეთი; 18. ბიტი.

**თარაზულად:** 1. ხარება; 4. კაბოშონი; 7. ყოჩები; 8. ლინდერი; 12. პეტრა; 13. აკვანი; 15. ცეზურა; 17. ტაო; 19. ღვინობისთვე; 20. გინეა; 21. ჩინური.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.4529 |
| ევრო | — 4.1666 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 4.7912 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.6217 |

## ამინდის პროგნოზი 29 აპრილისათვის




## აზარი: „ჩელსის წინააღმდეგ თამაში იოლი არ იყო“



მადრიდის რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ მისი ყოფილი გუნდის, ჩელსის, წინააღმდეგ თამაში იოლი არ ყოფილა, თუმცა ეს საინტერესო გამოცდილება იყო, მიუხედავად იმისა, რომ აზარი მოედანზე შეხვედრის ბოლოს შევიდა და მხოლოდ 15 წუთი ითამაშა:

– ჩელსის წინააღმდეგ თამაში ნამდვილად საინტერესო გამოცდილება იყო, თუმცა მე პროფესიონალი ვარ და ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნება მეტოქე. ფრე ცუდი შედეგი არ არის და ყველაფერი ლონდონში გადაწყდება.

## რუბინს იუვენტუსისგან შეთავაზება არ მიუღია



ყაზანის რუბინის გენერალურმა დირექტორმა რუსტემ საიმანოვმა განაცხადა, რომ რუბინს ტურინის იუვენტუსისგან ხვიჩა კვარაცხელიასთან დაკავშირებით ოფიციალური წინადადება არ მიუღია და გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. საიმანოვმა ასევე განაცხადა, რომ რუბინი ჯერჯერობით კვარაცხელიას გაყიდვას არ აპირებს, თუმცა ესმით, რომ კვარაცხელიას შენარჩუნება რუბინს გაუჭირდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ოთხმა ტახმა ქალაქის ქუჩებში აურზაური გამოიწვია



ჩინეთის პროვინცია ფუცზიანის ქალაქ ნინდეში ოთხმა ტახმა არეულობა გამოიწვია. სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, გარეული ცხოველები ქალაქში ახლომდებარე მთებიდან შეიჭრნენ. მათ ქალაქის ქუჩებში გაინავარდეს, იჭრებოდნენ მაღაზიებში, ადამიანებს ეჯახებოდნენ და ძირს აგდებდნენ.

ერთ-ერთ ვიდეოში ჩანს, რომ ტახი მაღაზიაში დასეირნობს, შემდეგ შუშის კარის გატეხას ცდილობს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და მეორე კარში არსებული ხვრელის გამოყენებით ტოვებს შენობას. მეორე ვიდეორგოლში იგივე ცხოველი ეჯახება და ძირს აგდებს ადამიანს, მესამე ვიდეოში კი ტახი მყიდველების ჟრიამულის ფონზე მაღაზიაში შედის.

## ნიანგები მეთევზეს თავს დაესხნენ და დაგლიჯეს



ზიმბაბვეს პროვინცია მიდლენდსის სოფელ სელობელას მცხოვრები მეთევზე ნიანგების თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

29 წლის ნევეუს შონივა სათევზაოდ მდინარე გვერუზე იმყოფებოდა და წყალში ბადის სროლას აპირებდა. ნაპირზე მყოფ მეთევზეს თავს ნიანგები დაესხნენ და დაგლიჯეს.

მოგვიანებით თანასოფლელების ჯგუფი დაკარგული შონივას მოსაძებნად გაეშურა. მეორე დღეს დილით მათ მეთევზის ჩონჩხს მიაკვლიეს, რომელსაც ცოლი და სამი ბავშვი დარჩა.

ადგილობრივმა დეპუტატმა მტოკხოზისა მანოკი მპოფუმ სოფლის მცხოვრებლებს ურჩია, რომ უფრო მეტი ყურადღებით იყვნენ თევზაობის დროს, ხოლო პარკებისა და ბუნების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს მოუწოდა, მანამდე დაიჭირონ სახიფათო რეპტილიები, სანამ ისინი სხვა მეთევზეებსაც მოკლავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– როგორ ხდება, რომ ყველაფრის გაკეთებას ასწრებთ და ამასთან, ყველაფრის მიმართ ოპტიმისტური დამოკიდებულება გაქვთ?

– უბრალოდ არავის ვეკამათები.

– კი მაგრამ, ეგ ხომ შეუძლებელია!

– თუ შეუძლებელია, იყოს შეუძლებელი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– არასწორია, დეპუტატებს პოლიტიკურ მეძავებს რომ უწოდებენ...

– აბა, რა უნდა უწოდონ?

– პოლიტიკური პორნომსახიობები.

– რატომ?

– ისინი ამას ხომ კამერების წინ აკეთებენ.

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– იცი, ახლა შენთან რომ მოვდიოდი, პარკში თავს მამაკაცი დამესხა და ბუჩქებში შემათრია!

– რა, გაგაუპატიურა?

– არა, შიშისგან ყვირილი ავტეხე, ის კი დაფრთხა და გაიქცა!

– და რას ყვიროდი?

– ისე შევშინდი, რომ აზრზე არ ვიყავი... მგონი, ვყვიროდი, ვაშაააააა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნარიყალას ციხის კედელი ბლოკებით ამოაშენეს



ლიტერატურის მუზეუმის ერთ-ერთი თანამშრომლის ნანა კობალაძის ინფორმაციით, ნარიყალას ციხის კედელი ბლოკებით ამოაშენეს:

– ესეც ჩვენი ავტოფარეხად ქცეული და ოდესღაც „დროებით“ ბლოკებით „რესტავრირებული“ ნარიყალა. ახლაც შემოსაზღვრულია ბოტანიკურში გადასახედი, ადრე რესტავრირებული საფეხურები ჩამოშლილია, შესასვლელზე ლურჯი ბრეზენტია ჩამოფარებული. ახალი რესტავრაციის კვალი ვერ შევნიშნე.

## გოგიჩას დაბადების დღეზე მანქანა დააზიანეს



„ბასტი ბუბუს“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი 28 აპრილს 53 წლის გახდებოდა. სწორედ მის დაბადების დღეზე გოგიჩას მანქანა დააზიანეს.

ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში მისმა მეუღლემ ნათია ბანძელაძემ გაავრცელა:

– ვინც ეს გააკეთეთ გოგიჩას მანქანაზე გოგიჩას დაბადების დღეზე, იმაზე მეტად დასჯილები ხართ ცხოვრებაში, უკვე ასეთი შეუმდგარები რომ ხართ!!!!

პ.ს. ამ მანქანაზე ყველაფერს უფრო მტკივნეულად აღვიქვამ, იმიტომ რომ მისია, იმიტომ დავჯექი და არ გავაფუჭე, რომ სულ დარდობდა, როცა უკვე ველარ ატარებდა, ყოველ დილით სამსახურში რომ მაცილებდა, მთხოვდა, დაელაპარაკე რა და უთხარი, კი არ მივატოვეო... მერე მკითხავდა, იყავი, ნახე, უთხარიო? რომ ვეტყოდი კი და ძალიან გაუხარდა-მეთქი – არ მომატყუო, რა, გრიშაა, მართლა ცოდოა, ამდენი ხანი მარტო არ დამიტოვებიაო.... აი, ეს არის ჩემთვის ეს მანქანა, სიყვარულისა და ადამიანობის სიმბოლო... და არა მანქანა, „გლუშიტელი“ თუ ,,კატალიზატორი“.

**ნანუკა გოგიჩაიშვილი:**

– უსირცხვილოებო! ამ მანქანისადმი განსაკუთრებული სიყვარული გვაქვს თითოეულ ოჯახის წევრს! უყვარდა, ელაპარაკებოდა და ადამიანად აღიქვამდა. ნათიას დიდი ხანია, რაც მართვის მოწმობა აქვს, მაგრამ მანქანაზე არასდროს დამჯდარა. მარტო იმ იდეამ გადაალახვინა შიში, რომ მამას მანქანა უმოძრაოდ იდგა და ხალხი ეუბნებოდა, ასე გაფუჭდებაო! დაჯდა, გადალახა შიში და ყოველი გამოვლა და ამ მანქანაში ჩაჯდომა ჩვენთვის დიდი ზეიმი იყო!

## ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბავშვთა ოთახი დაბრუნდება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ გიორგი კეკელიძის ინფორმაციით, სულ მალე ბიბლიოთეკაში ბავშვთა ოთახი დაბრუნდება:

– ეროვნულ ბიბლიოთეკაში მალე ბავშვთა ოთახი დაბრუნდება. სწორედ ამ ოთახისთვის ორმა შესანიშნავმა ადამიანმა, ნიკოლოზ მინდიაშვილმა და გიორგი კეკენაძემ, შემეცნებითი სათამაშოები შემოგვწირეს.

პ.ს. ნიკოლოზ მინდიაშვილისა და გიორგი კეკენაძის მიერ გაღებული საჩუქრები ქართულ და ინგლისურენოვანი ინტელექტუალური თამაშებია.

## კახი კავსაძეს საბურთალოს პანთეონში დაკრძალავენ



მსახიობ კახი კავსაძეს შაბათს, პირველ მაისს, საბურთალოს პანთეონში დაკრძალავენ.

სამოქალაქო პანაშვიდები რუსთაველის ეროვნულ თეატრში ხუთშაბათსა და პარასკევს გაიმართება. ყველა მსურველს მსახიობთან გამომშვიდობება და უკანასკნელ გზაზე გაცილება სწორედ რუსთაველის თეატრში შეეძლება.

**ავთანდილ ვარსიმაშვილი, რეჟისორი:**

– საღამოს სოხუმის დაბომბვა დაიწყეს, აეროპორტში პილოტმა გვითხრა, სიბნელეში უნდა ავფრინდეთ, ვერ ჩავრთავ განათებას, თორემ ჩამოგვაგდებენო. საშინელი სროლა იყო. პილოტის ნიშანზე ყველანი გავიქეცით თვითმფრინავისკენ, სიბნელეში შიგნით შევცვივდით და იატაკზე დავსხედით, რადგან სავარძლები არ იყო. ავფრინდით თუ არა, თვითმფრინავის მიმართულებით ტრანსირებული ტყვიების წვიმა წამოვიდა. ხმას არავინ ვიღებდით, ყოველ წამს შეიძლებოდა, რომ თვითმფრინავი ჩამოეგდოთ, ვუყურებდით ერთმანეთს და ვუღიმოდით.

– თუ ვიბრიდებით, სიმღერით დავიბრიდოთ! – წამოიძახა კახიმ და „წინწყარო“ წამოიწყო. მას ეგრევე აჰყვნენ რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, ჟანრი ლოლაშვილი, ჯემალ ღაღანიძე, მედეა ძიძიგური, ეკა მამალაძე, ჯემალ სეფიაშვილი... ყველანი. მეც კი ავყევი და ასე სიმღერით გამოვფრინდით აფხაზეთიდან.

„თუ ვიბრიდებით, სიმღერით დავიბრიდოთ!“ – ვფიქრობ, ამ ფრაზაში ეტევა კახის მთელი ცხოვრება. ადამიანი დღესასწაული. ნამდვილი არტისტი! მე საზღვარგარეთაც შემიმჩნევია, თუ როგორ აყოლებენ მას თვალს ის ადამიანები, რომლებსაც კახი არც სცენაზე და არც ეკრანზე არ უნახავთ. ისინი აყოლებდნენ თვალს მათთვის უცნობ, ლამაზ ადამიანს, რომელიც აფრქვევდა მომხიბვლელობას, ნიჭიერებას, სიკეთეს, ოპტიმიზმს, პოზიტივს, ჯიშს. კახი კავსაძე მოსიარულე ზეიმი იყო და მასთან ურთიერთობა კი – ნამდვილი ზეიმი.

ჩემო ძვირფასო, საყვარელო ბატონო კახი, დიდი მადლობა 40-წლიანი მეგობრობისთვის.

**ნიკა ჩერქეზიშვილი, პოეტი:**

– რომ ვიცოდი, ცუდად იყო, ხშირად მეფიქრებოდა ამ დღეებში კახი კავსაძეზე. რამდენჯერაც გამეფიქრა, იმდენჯერვე მისი სიყვარული გამახსენდა, როლებზე მეტად. ალბათ უცნაურია, ან არც არის, არ ვიცი. როლები გენიალური იყო და ამაზე მეტი თუ შეიძლებოდა რამე ყოფილიყო, მხოლოდ სიყვარულია! ეს იყო კახი კავსაძის ცხოვრების უმთავრესი „როლი“ და მან ეს როლი ბრწყინვალედ შეასრულა!

ერთ პატარა ისტორიას გავიხსენებ: როდესაც ბელა მირიანაშვილმა სცენაზე დგომა ველარ შეძლო, როგორც ხდება ხოლმე, ის სხვა მსახიობებით ჩაანაცვლეს სპექტაკლებში. რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ კი ბელას ავადმყოფობის გამო საერთოდ მოხსნა სპექტაკლი, ბელამ იცოდეს, რომ მის გარეშე რაღაცამ შეწყვიტა არსებობაო. ეს ისტორია სულ მახსოვს. დიდი მადლობა მედეა კუჭუხიძეს ამ ქმედებისთვის. ვფიქრობ, ის ნათლად გამოხატავს ადამიანის მნიშვნელობას, უზენაესობას, რომ ვერც ერთი სპექტაკლი და დადგმა ვერ იქნება ადამიანზე მნიშვნელოვანი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 29 აპრილისათვის



**ვერძი** – ინტრიგებს დილიდანვე ელოდეთ. დაბრკოლებები თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კურო** – რომანტიკულ ურთიერთობებში გიმართლებთ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **ტყუპები** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. ყველანაირად ხელი შეგეშლებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით ცხოვრებით. **ლომი** – კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს. **ქალწული** – რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალ იდეებს ადვილად განახორციელებთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – ბუნების წიაღში გასვლა, ბაღში მუშაობა დაგამშვიდებთ. წაგადგებათ ფიზიკური ვარჯიშიც. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ძალზე სწრაფად ვითარდება. ნუ გარისკავთ. ერიდეთ კომერციულ გარიგებებს. **მერწყული** – ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მთავარია, ზომიერება დაიცვათ. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა დაუშვებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 2. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 3. დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცაზე დაგროვილი შავი, სქელი ნისლი; 4. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ავადმყოფობის დროებით შესუსტება; 10. სამეფო საგვარეულო; 11. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 12. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე საიზოლაციო მასალა; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ქვის ხავსი; 17. ცხარე გემოს ფრანგული ცხვრის ყველი; 20. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი.

**თარაზულად:** 6. გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება; 7. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. გერმანული ჟურნალი; 9. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 13. რაიონული ცენტრი იმერეთში; 14. ეგრისის მეფე მეექვსე საუკუნეში; 18. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 19. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 21. უმცროსი მატროსი გემზე; 22. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 23. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 24. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

